დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლიკა ხვედელიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

ვერა მღებრიშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე მიქაუტაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მეგი ტალახაძე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა წიკლაური უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

ინგა ხრიკაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ავთანდილ ცნობილაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ოძელაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ევგენი გუგულაშვილი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**237102176**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭანიეთი
იურიდიული მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭანიეთი
ფაქტობრივი მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭანიეთი
საფოსტო ინდექსი	**3500**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chanieti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	არ აქვს

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7230000886384 17.07.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	07-08 აგვისტო, 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის

				და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ჯგუფის თავჯდომარე კოორდინაციას უწევდა ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაციას, თავიდანვე გადანაწილდა ფუნქციები, გაიწერა სკოლაში ვიზიტის დღის წესრიგი. თავმჯდომარე პერიოდულად აწყობდა როგორც სავალდებულო, ისე რიგგარეშე ონლაინ შეხვედრებს teams-ში. პირველივე შეხვედრის შემდეგ ექსპერტებმა წარმოადგინეს დამატებითი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის გაცნობაც საჭიროდ მიიჩნიეს ექსპერტებმა. სკოლამ მითითებულ ვადაში უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების ჯგუფისთვის მიწოდება ცენტრის საშუალებით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია იყო საკმაოდ მოცულობითი, რამაც საშუალება მოგვცა ოთხივე სტანდარტის მიმართულებით სკოლის მუშაობის პირველადი შეფასება გაგვეკეთებინა.

ვიზიტამდე ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ საგნობივი კათედრების ჩართვის განრიგზე. აღსანიშნავია, რომ სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ ჰქონდა ვიზიტამდე შექმნილი ან ჰქონდა ხარვეზები.

საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმართული გასაუბრების პროცესი სკოლის კათედრების წევრებთან წარიმართა გეგმის შესაბამისად.

ვიზიტის დროს საგნობრივი ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები კურიკულუმის ჩარჩოსთან დაკავშირებით მყისიერად იქნა გათვალისწინებული.

სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების, სასკოლო დოკუმენტაციისა და გარემოს შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოთქვამს მზაობას ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამის დონეზე დასაკმაყოფილებლად, სკოლაში არის პოზიტიური და თანამშრომლობითი გარემო, რაც დადებითად აისახება სასკოლო ცხოვრებაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, ითვალისწინებენ მცირე რაოდენობის კლასთან მუშაობის სპეციფიკას.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის საფუძველზე დავადგინეთ ის მიმართულებები და აქტივობები, რაც სკოლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მიუთითებს:

სკოლას აქტიური თანამშრომლობა აქვს თემთან. მათთან ერთად განახორციელეს პროექტი ,,გადავარჩინოთ კოლხური ბზა“. გამოყვანილი ჩითილები დარგეს სოფლის შემოგარენში.

ასევე სკოლაში განხორციელდა პროექტი ,,ვიცხოვროთ მეგობრულად“, კონფლიქტების პრევენციის მიზნით.

ასევე თემის ჩართულობით განახორციელეს სკოლის ტერიტორიაზე მოცვის გაშენება. კლასებმა შეადგინეს მოცვის ბაღის მოვლი განრიგი და ბაღის მოვლაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. რჩევებს იღებდნენ ადგილობრივი სპეციალისტებისაგან.

კარგი გამოცდილების მიღების საფუძველია სკოლისთვის ასევე კულტურული მეკვიდრეობის პროექტზე მუშაობა.

სკოლა ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომელიც წარმატებით ინერგება. სკოლის ლიდერი მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან, სასწავლო ჯგუფები შეხვედრებს აქვს სისტემატური ხასიათი, რაც დადებითად აისახება სასკოლო კურიკულუმზეც. სკოლა მიმართავს ასევე რემედიაციულ აქტივობებს საჭიროების შემთხვევაში.

სკოლას აქვს მეზობელ სკოლებთან სპორტული შეჯიბრებების განხორციელების პრაქტიკა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4	☐ შეესაბამება

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 60	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლაში დღეის მდგომარეობით სწავლობს 55 მოსწავლე. სკოლის შენობა გათვლილია 90 მოსწავლეზე და ასევე სკოლას აქვს 90 მოსწავლისთვის საჭირო ადამამიანური და მატერიალური რესურსი. გამომდინარე იქედან, რომ შესაძლებელია მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდოს ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია სკოლამ ავტორიზაცია მიიღოს 90 მოსწავლეზე.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი ***3.4.1.1.***	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ წარმოადგინოს სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა(05.06.2024), სკოლამ წარმოადგინოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა(08.08.2024); სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოებ სპეციალისტი (10.09.2024); სკოლა აღიჭურვოს ვიდეო სათვალთვალო სისტემით(02.10.2024)*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	რჩევა: სკოლამ ხედვით უნდა წარმოიდგინოს სასურველ მომავალი , როცა სკოლის მისია უკვე შესრულებულია და შედეგებიც სახეზეადროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლას მიეცა რჩევა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწეროს ამოცანის შესრულების გაზოვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.

*ინდიკატორი **1.2.2.1***	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს*	*სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში გაასწორონ ტექნიკური ხარვეზები, შესაბამისობაში მოიყვანოს ტექტი და ნუმერაცია და უფრო კონკრეტულად გაწერონ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული*	*სკოლას მიეცა რჩევა სკოლის სტრუქტურის ცხრილში შესაბამისობაში მოიყვანოს სტრუქტურული ერთეულები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშორმლები. სკოლის დირექტორის #2-51 ბრძნებით, დამტკიცებულ დანართში დაზუსტდეს ვინ არის დირექტორის მოადგილის ფუნქციების შემსრულებელი, რადგან მოადგილის შტატი სკოლას არ აქვს ან შეიქმნას ერთი კონკრეტული დოკუმნეტი სადაც ორგანიზებულად, სტრუქტურირებულად და მკაფიოდ გაიწერება სტრუქტურული ერთეულები/პირების ფუნქცი მოვალეობები.*
ინდიკატორი N. 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას მიეცა რჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულმა დირექტორმა ადამიანური რესურსების მართვისპოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად გადასცეს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #785 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლიპუნქტის ა ქვეპუნქტი[i]
*ინდიკატორი **3.4.1.3***	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს*	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს ერთიან დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად*

		უსაფრთხო სასკოლო გარემოს მექანიზმი
ინდიკატორი ***3.4.1.4***	*სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;*	*სკოლას მიეცა რჩევა ბრძანებით დაამტკიცოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცვის მექანიზმი*
ინდიკატორი ***3.4.1.5***	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;*	*სკოლას მიეცა რჩევა ბრძანების დაამტკიცოს პერსონალური მოანაცემების დაცვის მექანიზმი*
ინდიკატორი ***3.4.1.6***	*სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციი დაცვის მექანიზმები.*	*სკოლას მიეცა რჩევა ბრძანებით დაამტკიცოს ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.*
ინდიკატორი ***3.5.1.5***	*სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).*	*სკოლას მიერცა რჩევა უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნა*
ინდიკატორი ***3.6.1.1***	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;*	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, მათ შორ კომპიუტერული ლაბორატორიისა და იქ არსებული რესურსებით სარგებლობ წესი.*
ინდიკატორი ***3.7.1.1***	*სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება*	*სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინოს მისი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფის საკითხი*
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.3.1	*სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.*	*სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის ერთიანი წესი*

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	1. სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საშტატო განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციებს და ვალდებულებებს: სკოლის დირექტორი (რადგან არ არის სკოლაში დირექტორის მოადგილის შტატი), თუ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთვევაში ასრულებს მის მოვალეობას. უმჯობესი იქნება, თუ ეს ფუნქციების ჯეროვნად იქნება გადანაწილებული დირექტორსა და მისი მოვალეობის შემსრულებელს შორის. *2.* მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.
ინდიკატორი2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში სკოლის მიერ სრულყოფილად უნდა მოხდეს ცნებების/ქვეცნების გაწერა შერჩეული კომპლექსური დავალებების შესაბამისად.
2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში კურიკულუმში მოაზრებული ყველა კომპლექსური დავალებისათვის სკოლამ უნდა გაწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები უნდა დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დაკონკრეტდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ასევე: უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უნდა აისახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიემართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების

		მიხედვით.
2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმი[illegible] განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას შეიმუშაოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით/დროის რა შუალედებში) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების ერთი დოკუმენტის შექმნა.
2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	1. სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საშტატო განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციებს და ვალდებულებებს: სკოლის დირექტორი (რადგან არ არის სკოლაში დირექტორის მოადგილის შტატი) თუ დირექტორის ბრძნებით განსაზღვრული პირი, რომელიც დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთვევაში ასრულებს მის მოვალეობას. უმჯობესი იქნება, თუ ეს ფუნქციების ჯეროვნად იქნება გადანაწილებული დირექტორსა და მისი მოვალეობის შემსრულებელს შორის. 2. მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.
2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურის ყველა კლასში სკოლის მიერ სრულყოფილად უნდა მოხდეს ცნებების/ქვეცნების გაწერა შერჩეული კომპლექსური დავალებების შესაბამისად.
2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა დ მეთოდიკურ ორიენტირე	უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურის ყველა კლასში კურიკულუმში მოაზრებული ყველა კომპლექსური დავალებისათვის სკოლამ უნდა გაწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები უნდა დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დაკონკრეტდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ასევე: უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურის ყველა კლასში შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უნდა აისახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიემართოს ეროვნული სასწავლო გეგმით

		განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.
2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასებ ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, ვურჩევდით სკოლას შეიმუშაოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით/დროის რა შუალედებში) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვ მონიტორინგი და შეფასება. შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების ერთი დოკუმენტის შექმნა.
2.3.2.2	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთხოვნებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული სსსპოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს წინამდებარე დასკვნაში ასახულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1.სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას პირველ ეტაპზე წარმოდგენილი ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშც მოცემული იყო სკოლის მისია, რომელიც შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, თუმცა ხედვა და ღირებულებები სკოლას წარმოდგენილი არ ჰქონდა. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა რევიზირებული მისია, ხედვა და ღირებულებები. თუმცა სკოლის ხედვა ბუნდოვანია. წარმოდგენილი ხედვა ნათლად ვერ გვიჩვენებს იმ შედეგს, რომელიც მომავალში ექნება სკოლას. ამ მიმართულებით საჭიროა მეტი სიცხადე . რჩევა: სკოლამ ხედვით უნდა წარმოიდგინოს სასურველი მომავალი , როცა სკოლის მისია უკვე შესრულებულია და შედეგებიც სახეზეადროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა ცდილობს შემნას სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე, ეს ყოველივე განსაზღვრულია სკოლის მისიით რადგან სკოლა ამ დროისთვის მუშაობს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაზე სამომავლოდაც გეგმავს მისიაში და ხედვაში აღნიშნულის გათვალისწინებას. სკოლაში ვიზიტმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ სკოლა ხედავს

თავის როლს და მნიშვენელობას. ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი თითოეული წევრის პიროვნულ განვითარებაზე. სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები. სასკოლო გარემო ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობას. თვალსაჩინოა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შენობა ორსართულიანია. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მასწავლებლები მორიგეობის განრიგის მიხედვით ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. სკოლა ახლად აშენებულია. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. აღჭურვილია სახანძრო ბალონებით. სკოლას იცავენ დარაჯები. სკოლას აქვს ინვენტარით სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლას ჰყავს ექიმი. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე. მათ ემსახურებათ სპეციალური მასწავლებელი და ენისა და მეტყველების სპეციალისტი. მათთვის გამოყოფილია რესურს ოთახი. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლას აქვს პანდუსი და მეორე სართულზე ასვლა შესაძლებელია ლიფტით. სსსმ მოსწავლეებისთვის ყოველი სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირაში დგება ინდივიდუალური გეგმები და ხორციელდება ინდ. გეგმისა და მოსწავლეთა წარმატების მონიტორინგი. სსსმ მოსწავლეები იყენებენ სხვადასხვა რესურსს. სკოლა ცდილობს მათ ეფექტიანი საგანმანათლებლო გარემო შეუქმნას. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სასწავლო პროცესის მსვლელობის დროს სკოლაში მომსვლელთა ვიზიტები ვიზიტორთა ჟურნალში ტარდება. სკოლაში იმართება სასკოლო თუ სათემო ღონისძიებები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. სკოლის აქტივობები ასახულია სკოლის ფეისბუქგვერდზე. სკოლაში მიმდინარე პროცესები ეყრდნობა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა ხდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განცდის მისაღწევად სკოლაში სხვადასხვა ნორმატიული აქტის საფუძველზე იდენტიფიცირებულია ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების

განვითარებასა და წინსვლას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა ზრუნავს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნაზე, რის გამოც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილია და მუშაობს მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფი. ჯგუფთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან სასკოლო საზოგადოების წევრები. გამოკითხვა ჩატებულია მშობლებთან და პედაგოგებთან, გეგმავენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ჩართვას. შეივსო SWOT ანალიზის ფორმები, რაც მატერიალურადაც წარმოგვიდგინა სკოლამ. სკოლას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მე-4 მუხლშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების უზრუნველყოფის მექანიზმი. სასკოლო საზოგადოება ჩართულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში, შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მისია, ხედვა, ღირებულებები შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე უკვე მუშაობს პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებისაგან და პერსონალისაგან და მათ მიერ ხდება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, ამით უკვე შექმნილია თანაშემოქმედებითობის და გაზიარების განცდა. ჯგუფმა ინტერვიუს მიმდინარეობისას აღნიშნა, რომ როგორც კი დოკუმენტი მზად იქნება, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოებასთან მოაწყოს შეხვედრა, პრეზენტაციის სახით წარმოადგინოს განახლებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რათა ყველა დაინტერესებული პირისთვის იქნას გაზიარებული, ასევე სკოლა დოკუმენტებს განათავსებს საინფორმაციო დაფაზედა ვებ გვერდზე. ვინაიდან ჩართულია სასკოლო საზოგადოება, მშობლებისა და პერსონალის კითხვარების შევსების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. აქამდე არსებული სკოლის მისია საჯარო სიყო ხელმისაწვდომი დაინტერესულ პირთათვის, გამოკრული იყო საინფორმაციო დაფაზე. ინტერვიუს დროს სკოლამ გამოთქვა მზაობა მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობის შესახებ. იგი ცნობილი იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის პირისპირ შეხვედრების საშუალებით , ასევე განთავსდება საინფორმაციო დაფაზე და აიტვირთა ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სკოლის მისიაზე, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4. უსაფრთხოების უზრუნველყოფის დებულება
5. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები
6. შედგენილი SWOT ანალიზი.
7. ფოკუსჯგუფებთან ჩატარებული გამოკითხვის მასალები
8. სკოლის შინაგანაწესი
9. თანამდებობრივი ინსტრუქციები

10. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
11. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენის დროს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია დოკუმენტის სახით გაწერილი სკოლას არ ჰქონდა, თუმცა, ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა, რომელზე დაყრდნობითაც სკოლა აღნიშნული დოკუმენტების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნისთვის იმუშავებს 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განმავლობაში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს:1. ზოგადი დებულებები 2. ტერმინთა განმარტება 3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები 4. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი 5.სტრატეგიის შინაარსის განსაზღვრა 6. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება 7. სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა 8. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება 9. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება 5. სამოქმედო გეგმის წლიური შესრულება. ამავე დოკუმენტის მე-3 მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულია თანამონაწილეობა, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება, როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით. ასევე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებები. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია საშუალებას მისცემს სკოლას გათვალისწინებულ იქნას სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა არ ჰქონდა წარმოდგენილი, რასაც მიუთითებდა განაცხადში და ვიზიტის დროსაც დადასტურდა, რომ ჯერ დოკუმენტის სახით შექმნილი არ იყო, თუმცა

მიმდინარეობდა შემუშავების პროცესი. სკოლა გეგმავდა სტრატეგიული გეგმის შემუშავებას SWOT ანალიზის საფუძველზე. სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ვიზიტის დროს 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც შემუშავების პროცესში იყო. სკოლამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიშიც გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებს, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, თუმცა სასურველი იქნებოდა სამომქედო გეგმაშ წარდმოდგენილი ყოფილიყო ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სკოლას მიეცა რჩევა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწეროს ამოცანის შესრულების გაზოვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. სკოლის მისიაზე, ხედვაზე, ღირებულებებზე, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯუფის შქმნის ბრძანება
3. შემუშავებული SVOT ანალიზი
4. ფოკუსჯგუფებთან ჩატარებული გამოკითხვის მასალები
5. 7 წლიანი განვითრების სტრატეგიული გეგმა

6. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა, რომელშიც განსაზღვრული იქნა: 1. ზოგადი დებულებები 2. ტერმინთა განმარტება 3. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები 4. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი 5. სტრატეგიის შინაარსის განსაზღვრა 6. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება 7. სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა 8. სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება 9. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება 10. სამოქმედო გეგმის წლიური შესრულება. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა განახორციელებს წელიწადში მინიმუმ ერთხელ და შესაძლოა განხორციელედეს არაგეგმიური მონიტორინგიც. ამავე დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სკოლას მიეცა რჩევა დოკუმენტში გაასწორონ

ტექნიკური ხარვეზები, შესაბამისობაში მოიყვანოს ტექსტი და ნუმერაცია და უფრო კონკრეტულად გაწერონ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგიით განსაზღვრული აქვს სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამავე დოკუმენტის მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. აღნიშნული ანგარიში საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აღნიშნული დოკუმენტის პრაქტიკაში რეალიზების მზაობა. სკოლა მზადაა 7 წლიანი სტრატეტგიული განვითარების გეგმისა და 1 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების დასრულებისთანავე განახორციელოს ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული გეგმის მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები იდება ვებ გვედზე. თითოეულ აქტივობას შესრულების დონის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს შედეგი სტატუსი: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა და არ შესრულდა. სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშიც განთავსდება სკოლის ვებგვერდზე და ასევე ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეწოდება ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით.

სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები იქნება საჯარო, ყველა ზემოთ აღნიშნული მექანიზმის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყფილებულია.**

4. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია, რომ სტატეგიულის გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად დაედება შემდგომი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. პასუხისმეგებელ ჯგუფთან ინტერვიუს დროს გაიმოიკვეთა, რომ სკოლა SWOT ანალიზზე და გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გამოკვეთს სტარტეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პრიორიტეტულ საკითხებს, რომელსაც გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტარტეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. წერილი ვებ გვერდის შექმინის შესახებ
3. ფოკუსჯგუფებში ჩატარებული გამოკითვის მასალები
4. SWOT ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საშტატო განრიგით, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ჰყავს თანამშრომლები, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია როგორც შრომით ხელშეკრულებებში, ასევე - სკოლის შინაგანაწესში და თანამდებობრივ ინსტრუქციებში. სკოლას საშტატო განრიგითა არ ჰყავს გათალისწინებული ბიბლიოთეკარი, თუმცა ბიბლიოთეკარის მოვალეობა დაკისრებული აქვს მასწავლებელს. ასევე სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებით, ასევე სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი აქვს სკოლის სტურუქტურა. სკოლას მიეცა რჩევა სკოლის სტრუქტურის ცხრილში შესაბამისობაში მოიყვანოს სტრუქტურული ერთეულები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშორმლები. ასევე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი დამტკიცებული სახით. სკოლის დირექტორის #2-51 ბრძნებით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები აღნიშნული დოკუმენტის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში დაზუსტებულია, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები ასევე განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამავე დოკუმენტში გაწერილია დირექტორის მოადგილის ფუნქცია მოვალეობები, საქმიანობის სფერო და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა სკოლა მცირეკონტიგენტიანია და საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული დირექტორის მოადგილის შტატი. სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს ვინ ასრულებს დირექტორის მოადგილის (როგორც სკოლის დირექციის

სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის) ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცით გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოცემული სტრუქტურული ერთეულები/პირების ფუნქცია-მოვალეობები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტში სკოლას მიეცა რჩევა უმჯობესი იქნება შეიქმნას ერთი კონკრეტული დოკუმნეტი სადაც ორგანიზებულად, სტრუქტურირებულად და მკაფიოდ გაიწერება სტრუქტურული ერთეულები/პირების ფუნქცია-მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებითა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით დადგენილ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება. სკოლა თვითშეფასების დროსაც მიუთითებდა და ინტერვიუს დროსაც აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობს შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა, რომელშიც ასახული და გამოკვეთილი იქნება ის ფაქტი, რომ სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილი იქნება ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების მიზნობრივად და ეფექტურად გადანაწილებით. სკოლას შემუშავებული აქვს ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომლის მეორე თავი ეთმობა ხარისხის უზრუნველყოფის წესს და დეტალურად ასახავს იმ პროცედურებს, რაც ამ კუთხით სკოლაში მიმდინარეობს, ასვე სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ხარისხის მართვის დებულება. ხარისხის ჯგუფი, რომ

ნამდვილად ფუნქციონირებს ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუსა და სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებითა და ანგარიშებით დასტურდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები
3. სტრუქტურული ერთეულების სამუშაო დებულებები
4. ხარისხის მართვის დებულება
5. ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი
6. სკოლის წესდება
7. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობასთან შესაბამისიობაშია, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სრულყოფილად წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. ვაკანსიის შემთხვევაში სკოლას ახალი კადრი აჰყავს კონკურსის წესით. კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისია მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილიპერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურას და პერსონალთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება სკოლის ყველა პესონალზე, როგორც ძირითად შტატში მომუშავე ასევე ხელშეკრულებით მოწვეულ პირებზე თანასწორობის პრინციპის დაცვით და მათი კომპეტენციის, სპეციფიკის გათვალისწინებით. სკოლას მიეცა რჩევა სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულმა დირექტორმა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი დასამტკიცებლად გადასცეს სამეურვეო საბჭოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის#785 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლიპუნქტის ა ქვეპუნქტის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს თვითრეგულაციისა და თვითმართვის უნარების განვითარებაზე ორიენტაციას, რაც გულისხმობს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას და წახალისებას,

ეფექტური მიზნების დასახვასა და მათი შესრულების მონიტირინგისა და ეფექტიანობის შეფასებას. ასევე პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა მპოიცავს სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. სკოლა ვინაიდან მცირეკონტიგენტიანია, საშტატო განრიგით არ ჰყავთ დამტიკიცებული სკოლის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი, მაგ. ბიბლიოთეკარის მოვალეობა შეთავსებული აქვს მასწავლებელს, ასევე ზამთრის სეზონისათვის ცეცხლფარეშის მოვალეობას ითავსებს დარაჯი. მასწავლებლებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგები, ხოლო მიღებული ცოდნა გაუზიარონ კოლეგებს და გადაიტანონ პრაქტიკაში. ასევე დანარჩენი პერსონალის შემთხვევაში სკოლის დირექცია ზრუნავს სიახლებისა და გამოწვევების კვალდაკვალ მოახდინოს მათი გადამზადება. სკოლის პერსონალს სრულად გაზიარებული აქვს პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს პერსონალის შერჩევის პროცედურები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია შესაბამისი კადრების მოზიდვა, დასაქმება ობიექტურიბისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ ზემო აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლში გაწერილია პერსონალის შერჩვის პროცედურები, რომლის მიხედვითაც სკოლაში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურის ჩატარება და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოვლენა ხდება ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით. პერონალის მოზიდვის მიზნით სკოლა ახორციელებს კანდიდატების შერჩევას საქარელოს კანონმდებლობისა და სკოლაში მოქმედი შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად. სკოლას 2021 წელს ქონდა გამოცხადებული გეოგრაფიის მასწავლებლის ვაკანსია. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება

საკონკურსო კომისია. (მასწავლებლის შემთხვევაში ჯერ შიდა კონკურსი, შემდეგ ღია). შიდა კონკურსის შემთხვევაში საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. ვაკანსია მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი, ასევე მოიცავს კონკურსის ეტაპებს. აპლიკანტს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს კონკურსის შედეგები. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს შერჩეული კანდიდატის თაობაზე. დირექტორი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-17 მუხლი მოიცავს პირადი საქმის წარმოების წესს, რომლის თანახმადაც პირად საქმეში უნდა ინახებოდეს შემდეგი დოკუმენტაცია: ავტობიოგრაფია, ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლაში 2020 წლიდან დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეში არ ინახებოდა ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. სკოლამ დასკვნოის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა შესაბამისი ცნობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებითაც დასტურდება კადრების კვალიფიკაცია. ყველა მასწავლებელი ასწავლის იმ საგანს, რომელშიც დადასტურებული აქვს კომპეტენცია. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი ორი დოკუმენტი. ერთ დოკუმენტში გაწერილია

მხოლოდ მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო მეორე დოკუმენტი მოიცავს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პერსონალის ფუნქციების აღწერილობას. მოვახდინეთ სკოლის პერსონალის გადამოწმება სკოლის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და აღმოჩნდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შენარჩუნების გზები, სადაც ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გუნდური გარემოა რაც გულისხმობს პატივისცემისა და აღიარების ატმოსფეროს შექმნას, სადაც ურთიერთობები ეფუძნება მოსმენას, აქტიურ კომუნიკაციას და ურთიერთპატივისცემას. სკოლის პერონალთან ჩატარებულმა ინტერვიუმ დაგვანახა, რომ სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ პასუხისმგებლობები.

თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ერთად გეგმავენ საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების გზებს.

სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და

მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას. რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუს შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლისთვის თითოეული მასწავლების წარმატება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ძალინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობას ამ კუთხით. სკოლის მასწავლებელბი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში. სკოლის მასწავლებლების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სისტემატიურად ხდება სკოლის ფეიბუქ გვერდის საშუალებით, აღინიშნება პედაგოგიურ საბჭოზე თუ საინფორმაციო შეხვედრაზე. სკოლას მასწავლებელთა წახალისების სახეები გაწერილი აქვს სკოლის შინაგანაწესში და პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც პერსონალის მოტივირება და წახალისება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ და პროფესიულ საქმიანობაში მათი დაინტერესებულობის გაზრდისაკენ.

შექმნილია ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, რომელიც ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში და იქ მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები იზიარებენ საკუთარი კოლეგის წარმატებულ გამოცდილებას თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ ,,სწავლების თანამედროვე დიზაინი“.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება ასევე გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და

ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, ინტერვიუს შედეგად და სკოლის ფეისბუქ გვერდით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. თანამშრომელთა ხელშეკრულებები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
3. დანიშვნის ბრძანებები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
4. ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის და წესის დამტკიცების ბრძანებები და ოქმები (ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
5. პერსონალის პირადი საქმეები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ტრენინგების გავლის ჩანაწერები)(ვიზიტის დროს მოხდა შესწავლა)
6. პერსონალის საკვალიფიკაციო და ფუნქციების აღმწერი დოკუმნტი
7. პერსონალის პოლიტიკის დოკუმენტი
8. სკოლის ფეისბუქ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკით სკოლა განსაზღვრავს პერსონალის განვითარებისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს, კერძოდ: პროფესული განვითარების საფუძველი შეიძლება იყოს თანამშრომელთა იდვიდუალური პროფესიული საჭიროებები და ინიციატივები და ასევე ხარისხის მართვის ჯუფის წევრების ურთიერთდასწრების შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციები. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს ასევე მასწავლებეთა რეფლექსიებსა და თვითშეფასებებს. ხარისხის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრების შემდეგ აძლევს რჩევებს პროფესიული განვითარებისა და გამოსასწორებელი მხარეების თაობაზე თუ როგორ უნდა განახორციელოს შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მიუხედავად იმისა რომ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი გამოვლენილ საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ წარმოაჩინა, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს პერსონალის განვითარების ხელშეწყობას გამოვლენილი საჭიროებებიდან

გამომდინარე. კერძოდ ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხის შემოწმებით. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. აქედან გამომდინარე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ განვითარებას, პედაგოგები ურთიერთგამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებით ივითარებენ პროფესიულ უნარ-ჩვევებს. სკოლა ყველანაირ პირობას უქმნის მასწავლებელს, ინფორმაციის მიწოდებიდან ტექნიკური მხარის მხარდაჭერამდე, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებსა თუ ეროვნულ, რეგიონულ თუ სხვა სახის კონფერენციებში. ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებელს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ აძლევს რეკომენდაციას პროფესიული განვითარების მიზნით კონკრეტული მიმართულებების ტრენინგების გავლის შესახებ, რომელსაც ატარებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. სქემით გათვალისწინებული სავალდებულო აქტივობების ფარგლებში მასწავლებლები გადიან ყოველწლიურად ტრენინგს და არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ ჯგუფის რეკომენდაციას. სკოლაში არის მამოტივირებელი გარემო კარიერული ზრდისთვის.

თანამშრომლობითი, უსაფრთხო გარემო, სასკოლო კულტურა, ურთიერთგაზიარება და გუნდური მუშაობის პრინციპი ყველა მასწაცლებელს აძლევს საშუალებას პროფესიული და კარიერული ზრდისთვის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ერთ მასწავლებელს ჰქონდა გასაუბრება წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, ხოლო მეორე მასწავლებელს ვიზიტის დღეს, ასევე პროფესიული და კარიერული ზრდის კარგი მაგალითია ის რომ სკოლის მასწავლებელმა ჩააბარა დირექტორის სასერტიფიკაციო გამოცდა, გაიარა გასაუბრება და ელოდება კომისიის გადაწყვეტილებას. ინტერვიუს ფარგლებში ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილე პედაგოგები აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში გახორციელებული ღონისძიებები ხელს უწყობდა მათ კარიერულ ზრდას. მაგალითად: სკოლაში წახალისებულია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ ფორმატი, უზრუნველყოფილია საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. მასწავლებლები პერიოდულად აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში. მასწავლებლები რომლებმაც წარადგინეს პორტფოლიო მასწავლებლის სტატუსის ასამაღლებლად, აღნიშნავდნენ, რომ წარმოდგენილი აქტივობები ძალიან ეხმარებოდათ მათ ამ პროცესისკენ მიმავალ გზაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს კარგი გამოცდილება ახალი თანამშრომლის სასკოლო გარემოსა თუ სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციასთან დაკავშირებით. ახალ კადრებს აცნობენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. აცნობენ შინაგანაწესს, სკოლაში მოქმედ კანონმდებლობას, ახდენენ მის წარდგენას პედაგოგიურ საბჭოზე, აცნობებ კათედრის წევრებს, ახდენენ მის წარდგენას მოსწავლეებთან, აკვირდებიან მის პრაქტიკულ საქმიანობას და აწვდიან შესაბამის რჩევებს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო

საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები დნართით, მასში გაწერილია თითოეული ნაბიჯი, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას და მათი იდეების რეალიზებას. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის მიერ. ინიციატივებს ძირითადად ზეპირსიტყვიერად აფიქსირებენ. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს, ადგილობრივ თუ სარაიონო ღონისძიებებში მათ მონაწილეობას, შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებაში უცხადებს თანადგომას. მაგალითად როდესაც პედაგოგმა დაგეგმა ტრენინგი საკუთარი გამოცდილების კოლეგებთან გაზიარების მიზნით, მათი პროფესიული განვითარებისათვის, სკოლამ უზრუნველყო შესაბამის რესურსითა და სოციალურ ქსელში მისი აქტივობის გაზიარებით წაახალისა მასწავლებლის მოტივაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები (მასწავლებლების პირადი საქმეები)*
2. *პერსონალის სოციალიზაციის დოკუმენტი*
3. *დიაგნოსტიკური კვლევები*

4. ხარისხის ჯგუფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას, თემთან თანამშრომლობას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით. ეფუძნება პროცედურულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მიმართულების ხარისხობრივი მაჩვენებელი. სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებითა და ანგარიშებით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხოლციელდება სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი მისიის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სკოლაში არსებული მმართველობითი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება. სკოლაში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობის შესაბამისია. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, კერძოდ, სკოლა ახდენს კურიკულუმის შემუშავებას, სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების დებულებები, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და

მათი აღმწერები, ყოველივე ზემოთ აღნიშნული თავსებადია სკოლის ამ დროისთვის არსებულ მისიასთან, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება სკოლის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც მიიღება შესაბამისი ზომები. შემოსული საჩივრით დისციპლინური გადაცდომის ნიშნების საკითხს იხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა სკოლაში დისციპლინურ გადაცდომას ადგილი არ ქონია. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოგვიდგინა ბრძნებით დამტკიცებული დოკუმენტი სადაც გასაჩივრების დეტალური პროცედურებია გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას რამდენიმე დოკუმენტში წარმოდგენილი აქვს სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეთა, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების, ასევე გასაჩივრების განხილვის სისტემა, ეს ყოველივე თავსებადია სკოლის 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გემით დეკლარირებულ მისიასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. შინაგანაწესით დადგენილი რეაგირების ფორმები და პროცედურები გამჭვირვალეობისა და სამართლიანობის დაცვის მიზნით ცნობილია სასკოლო

საზოგადოებისთვის. შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ასევე აქვს ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის, მშობლის, პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. ხშირია სხვადასხვა არხით მიღებული მშობელთა დადებითი უკუკავშირები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალისა და მშობელთა უფლებები ძირითადად დისციპლინური წარმოების წესთან მიმართებაში. გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში გასაჩივრების ფაქტი არ დაფიქსირებულა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ხარისხის ჯგუფის დებულება
3. სკოლის სოციალური გვერდი
4. მოსწავლის, მშობილისა და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი
5. საჩივრის განხილვის წესი და პროცედურები
6. სკოლის შინაგანაწესი
7. მმართველობითი ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი, დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. ამის დასტურია ისიც, რომ სკოლამ მოამზადა კითხვარები სასკოლო საზოგადოებისთვის, რომლის ანალიზის საფუძველზეც მოხდება ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების შედგენა, როგორიც მისია, ხედვა, ღირებულები, სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმაა. სკოლის დირექტორი წელიწადში ერხელ აბარებს სამეურვეო საბჭოს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ და იღებს უკუკავშირს. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითაც სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საზოგადოების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესში გამოიხატება მის წევრობაში სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში. ეს ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებას აქვს პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობები. სკოლის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების ორივე საფეხური. აქვე უნდა ითქვას, რომ სამეურვეო საბჭოს არჩეული წევრები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის მართვის პროცესში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლის პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილეობით და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. სამეურვეო საბჭო თავის მხრივ ითანხმებს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტს, ამტკიცებს შინაგანაწესს და მასში შესატან ცვილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *მშობლის გარათი*
2. *ფოკუსჯგუფებში ჩატარებული გამოკითხვის მასალები*
3. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
4. *პედაგოგური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები(გავეცანით ვიზიტის დროს)*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დებულება, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების ზომებისა და პრევენციული ღონისძიებები სკოლის პერსონალისთვის. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ფიზიკური უსაფრთხოების წესი, რომლის მიზანია როგორც ემოციური, ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლას უნდა ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, გამოყოფილი უნდა იყოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლა აღჭურვილი უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო სათვალთვალო სისტემით. რაც არც

წარმოდგენილი დოკუმენტების დასტურდება და ვერც ვიზიტის დროს დადასტურდა. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში დასაქმებულია ექიმი კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. ექიმი ახდენს მოსწავლეთათვის პირველადი დახმარების გაწევას, საჭიროების შემთხვევაში კი სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახებას. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან აქვს გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე. თანხმობის წერილს ელოდება უახლოეს მომავალში. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დასკვანა სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე, რომელშიც ნათლად ჩანს რომ სკოლა ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ზომებს. სკოლამ მოიძია ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის სახანძრო უსაფრთხოების გამართულობას და მასთან გააფორმა ხელშეკრულება და შესაბამისი სამუშაოები შესრულდება უახლოეს დღეებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლა ახდენს მხოლოდ ჭერის სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით შეწამვლას. ხოლო დასკვნაში არსებული სხვა ხარვეზების აღმოფხვრის დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი. ასევე სკოლას ამდროისთვის არ აქვს მოპოვებული შესაბამისი უფელბამოსილი ორგანოს მიერ დასკვნა შენობის მდგრადობის თაობაზე, მაგრამ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შ.პ.ს ,,ექსპერტიზასთან" შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით. ხელეკრულების ღირებულება 9790 ლარია. სკოლა მცირებიუჯეტიანია და თანხის ჩარიცხვის მიზნით შუამდგომლობით მიმართა ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რათა მოიპოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ხელშეკრულება გაფორმებულია მიმდინარე წლის 20 ივნისს და სამუშაოები შესრულებული უნდა ყოფილიყო 20 ივლისამდე, მაგრამ თანხის არ ქონის გამო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა დაირღვა. ვიზიტის დროს დირექტორი დაუკავშირდა შ.პ.ს ,ექსპერტიზას ხელშეკრულების ვადის ცვლილების მიზნით. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელთან

აქტიური თანამშრომლობით მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების ფაქტები. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. სკოლაში ვიზიტის დროს სახანძრო უსაფრთხოება სრულად დაცული არ იყო, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ იყო შეთანხმებული და სკოლას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დოკუმენტი და არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლა არ იყო აღჭურვილი ვიდეო სათვალთვალო სისტემით. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოსთან, სკოლამ ბრძანებით განსაზღვრა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ მოხდა სკოლის სხვენის დამუშავება ხანძარსაწინააღმდეგო ანტისეპტიკური ხსნარით, ხოლო სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი დანარჩენი ღონისძიებებისათვის სკოლას ჩატარებული აქვს ბაზრის კვლევა და მტიკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ინვოისები. სკოლის შენობის მდგრადობის დოკუმენტსა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის წარმოადგენისათვის ვადად განსაზღვრული აქვს 1 წელი. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შექმნილი აქვს უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს და აღრიცხავს

უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. ასევე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში ჩართულია დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც წესრიგის ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვეაში იქცევა მოქმედი რეგულაციის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დამტიცებული არ არის ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმების შემცველი კონკრეტული დოკუმენტი, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადსხვა დოკუმენტაციაში შინაგანაწესში, სკოლის წესდებაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში იკვეთება რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე.
   მოწესრიგებულია სველი წერტილები. დამლაგებელი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების, კიბის საფეხურებისა და სახელურების სველი წესით დამუშავებას. სკოლის

ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლის ორივე სართულის დერეფანში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარი ხელის დასამუშავებლად. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული 1 დამლაგებელი, ხოლო სოციალური პროგრამის ფარგლებში 1 დამლაგებელი და 1 მეეზოვე. შესაბამისად, საკმარისი ადამიანური რესურსია სანიტარული პირობების უზრუნველსაყოფად. სკოლიდან ნარჩენების გატანას უზურუნველყოფს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სკოლას აქვს წარმოდგენილი სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი. ასევე აქვთ შემუშავებული ცხრილი რომლითაც ახდენენ ჩატარებული სამუშაოს აღრიცხვას ყოველდღიურად. სკოლას აქვს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავების გრაფიკი. სკოლაში ვიზიტის დროსაც დადასტურდა რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლას მიეცა რჩევა, წარმოდგენილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანოიზმი დაამტკიცოს ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე, პერსონალური მონაცემები შენახულია ციფრულადაც, რომლის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ასევე მომხმარებლის პაროლის დაცვაზეც პასუხისმგებელია საქმის მწარმოებელი და სხვა პირს გარდა საქმისმწარმოებლისა ხელი არ მიუწვდება მომხარებელსა და პაროლზე. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლას ცალკე დოკუმენტის

სახით აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, დოკუმენტში გაწერილია: მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, დებულება ასევე ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის მონიტორინგსა და სკოლაში დასაქმებულ პირთათვის აღნიშნული დოკუმენტის გაცნობას. სკოლას მიეცა რჩევა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები დაამტკიცოს ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია:

1. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნიაანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი.

2. სკოლაში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის განახლება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ორჯერ

3. დაუშვებელია სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაციის გაზიარება სკოლის ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვოკოპირებას

5. წელიწადში არანაკლებ ერთხელ ხორციელდება დასაქმებულ პირთა, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირება ინფორმაციული უსაფრთხოების არსსა და მნიშვნელობაზე.

ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან და საქმისმწარმოებელთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა აღნიშნული მექანიზმების შესრულება. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლას მიეცა რჩევა ინფორმაციის უზრუნველყოფის მექანიზმები დაამტკიცოს ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება, რაც უპირობოდ გამოიყენება მისი გაუმჯობესებისთვის. აღნიშნული დადასტურდა დირექციასთან და სკოლის პერსონალთან გასაუბრებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *უფლებამოსილ ორგანოსთან გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე*
2. *სახანძრო უსაფრთოების აღმოფხვრის მიზნით დადებული ხელშეკრულება*
3. *ნარჩენების გატანაზე დადებული ხელშეკრულება(ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი)*
4. *სანიტარული ნორმების დაცვის დებულება*
5. *სანიტარული დასუფთავების აღრიცხვის ცხრილი*
6. *სკოლის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები*
7. *მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი (გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილზე)*
8. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი
9. ინფორმაციის უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმის დოკუმენტი
10. შ.პ.ს. ,,ექსპერტიზასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება
11. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
12. ბრძანება #2-62 საგანგებოს სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ
13. *საგანგებო სისტუაციების მართვის სამსახური წერილი საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმების თაობაზე*

14. *მომსახურების ხელშეკრულება სკოლის სხვენის ხანძარსაწინააღმდეგო ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავების შესახებ*
15. *გაზრის კვლევის მასალები*
16. *რესურსცენტრში გაგზავნილი შუამდგომლობის წერილი თანხის გამოყოფის თაობაზე*
17. *განახლებული ხელშეკრულება შ.პ.ს. „ექსპერტიზასთან“*
18. *წერილი ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნულ ბიუროსთან*
19. *დირექტორის ბრძანება #2-70 სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებიოს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განთავსებულია მისამართზე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში. მუშოაბა მიმდინარეობს ორსართულიან შენობაში. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ტერიტორიაზე დგას დამხმარე შენობა, სადაც განთავსებულია გათბობის ქვაბის შენობა. საერთო ფართია 7967კვ. მეტრია. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, თუმცა მწირი სასწავლო რესურსით, კომპიუტერების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული მოედანი. კომპიუტერების ლაბორატორია აღჭურვილია 7 პერსონალური კომპიუტერით, 22 ლეპტოპით, ასევე 9 მასწავლებლის ბუკით, 2 პროექტორით, 1 ქსეროქსის აპარატით. სკოლა 2018 წელს აშენდა. პასპორტის

მიხედვით სკოლა გათვლილია 90 მოსწავლეზე. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 55 მოსწავლე. სრულადაა დაცული და გამართული სტანდარტების შესაბამისად. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სასადილო, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა თუმცა წიგნადი ფონდი მწირია. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველას - მოსწავლესაც და მასწავლებელსაც. მისი მუშაობა ხორციელდება დებულების მიხედვით, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს მასწავლებელი, რომელსაც დაკისრებული აქვს ბიბლიოთეკარის მოვალეობა. სკოლას ააქვს ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების ელექტრონული კატალოგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, რომლითაც ამ ეტაპზე სარგებლობს 4 სსსმ მოსწავლე. სპეცმასწავლებელთან, მეტყველების სპეციალისთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ რესურს ოთახის აღჭურვა-განახლება ხდება პერიოდულად მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საჭიროებების შესახებ სკოლის ადმინისტრაციას ინფორმაციას აწვდის სპეციალური მასწავლებელი, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას დამხმარე სპეციალისტებისა და საგნის მასწავლებლებისაგან იღებს. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მასში განთავსებული ხელსაწყოები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის ვინც სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგია, თუმცა რესურსები მწირია და ლაბორატორია საჭიროებს დამატებით რესურსებით აღჭურვას. საგაკვეთილო ცხრილი ისეა შედგენილი, რომ მაქსიმალურადაა თავიდან აცილებული გაკვეთილების დამთხვევა, რათა ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს ჰქონდეს საშუალება

გაკვეთილი ლაბორატორიაში ჩაატაროს. კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია არა მხოლოდ ისტ. ან კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილზე, არამედ ნებისმიერი მასწავლებელისთვის, რომელიც დაგეგმავს გაკვეთილს ისე, რომ საჭიროებას მოითხოვს კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება. ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული მოედანი. ასევე სკოლის შენობაში არსებული დიდი დერეფანი. პირველი სართულის დერეფანში დგას მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, რომელსაც ძირითადად ცუდი ამინდის შემთხვევაში იყენებენ. ამ შემთხვევაშიც საგაკვეთილო ცხრილის დახმარებით ხდება ისე, რომ მაქსიმალურად არ დაემთხვეს გაკვეთილები, შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, სკოლის ეზოში არსებული სპორტული მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები, სსსმ მოსწავლეებისთვის რესურს ოთახში განთავსებულია საჭირო ინვენტარი, გამოკრულია რესურსოთახით სარგებლობის განრიგი თითოეული მოსწავლისათვის სკოლის შენობას აქვს პანდუსი, სკოლის შენობაში სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. შესაბამისად ყველა საერთო სარგებლობის სივრცე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის. სკოლის შენობაშია განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს სამკითხველო, გარე სპორტული მოედანი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სასკოლო თუ სარაიონო მასშტაბებით იმართება. იმის გამო, რომ სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი პროექტებისა და ღონისძიებებისათვის გამოყენებულია დერეფნები და საკლასო ოთახები. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. სკოლას აქვს თემის ჩართულობით პროექტების განხორიცელების კარგი გამოცდილება. სკოლაში თემის ინიციატივი მოეწყო მოცვის ბაღი, ასვე გარემოს დაცვის მიმართულებით გადაშენების პირას მყოფი კოლხური ბზის ნერგები დარგეს სოფლის შემოგარენში. სკოლაში დაწყებულია პროექტი კულტურული მემკვიდრეობა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსების არსებობა დასტურდება როგორც დათვალიერებით, ისე შესყდვების დოკუმენტაციითა და სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლას ელექტრონულად

წარმოდგენილი აქვს სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურის, მედორი ლიტერატურის კატალოგი. სკოლას მიერცა რჩევა ასევე უზრუნველყოს კურიკულუმში გაწერილი რესურსების კატალოგის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. 2022 წლის სკოლის ფინანსური ანგარიშსწორების დოკუმენტი
3. ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება
4. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი
5. საგნობრივი კურიკულუმი
6. ლეპტოპების, პროექტორების, მერხების, დაფების მიღება-ჩაბარების აქტები
7. პროექტები
8. ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. ინტერნეტითა და ლეპტოპებით უზრუნველყოფილია საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, საკლასო ოთახები. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ ზოგჯერ ინტერნეტის მოწოდებას აქვს ხარვეზი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატი, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო

ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. სკოლას საგაკვეთილო ცხრილი შემუშავებული აქვს ისე, რომ ლაბორატორების გამოყენების საშუალება ჰქონდეს ყველა კლასსა და შესაბამის მასწავლებელს. სკოლის IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლებისა და სკოლის პერსონალისთვის თუმცა IT ტექნოლოგიების გამოყენება არ ხდება დადგენილი წესის შესაბამისად ამიტომ მნიშვენლოვანია რომ სკოლას ქონდეს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიისა და იქ არსებული რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლას მიეცეს რჩევა აღნიშნული წესის შექმნათან დაკავშირებით._**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ფოტოები - კომპიუტერითა და ინტერნეტით უზრუნველყოფის
2. მიღება-ჩაბარების აქტები (წარმოადგინეს ვიზიტზე)

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და

გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, ასევე საქმისმწარმოებელი აწარმოებს მატერიალურად შემოსული დოკუმენტაციის ჟრნალში რეგისტრაციას მატერიალურად. პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმისწარმოება. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც საჭიროებდა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ხოლო ვიზიტზე დაგვახვედრა დამტკიცებული ახალი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დირექტორის მიერ გამოცემულია ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, რომელიც შეიცავს ყველა საჭირო რეკვიზიტს. ბრძანებები ტარდება eflow-ში, შემდეგ ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში და ინახება მატერიალური სახით. ასევე ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. სტრუქტურული ერთეულები თავის შეხვედრების შესახებ გამოსცემენ ოქმებს. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. შესაბამისად განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი შევსებულია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, საშტატო განრიგი, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია,

და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. სკოლის გვერდის სრულყოფაზე და სათანადოდ მართვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად სკოლა წარუდგენს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ პრეზიდენტს, პარლამენტს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის eschool -ის გვერდი
2. სკოლის eflow -ს გვერდი
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
4. სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
5. საქმისწარმოების წესი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად ანახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, შიდა და გარე კომუნიუკაციის წესები, მოსწავლეებთან კომუნიკაცია, ვიზიტორები და

შეხვედრები, მოტივაციის ამაღელება და ინიციატივების ხელშეწყობა, ასევე ხდება უკაკიშირის შედეგების განხილვა და ანალიზი. სკოლამ უზრუნველყო განათლების მართვის საინფორმაციოო სისტემის მიერ შექმნილ სივრცეში ვებ გვერდის შექმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე პასუხს აგებს გვერდის ადმინისტრატორი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ხშირია საზოგადოებაში არსებულ პრიორიტეტულ თემებზე დაგეგმილი აქტივობები, პროექტები. არაფორმალური სწავლების სხვადასხვა სახეები და ღონისძიებები. ამასთან, დამრიგებლის უფლება-მოვალეობებით განსაზღვრულია მშობლებთან კომუნიკაციის ვალდებულება, რის მიხედვითაც ისინი სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლამ შესაბამისობის გეგმის წარმოდგენისას განათლების მართვის საინფორმაციო სსიტემის მიერ გამოყოფილ სივრცეში skolebi. Emis. Ge -ზე განათავსა ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ skoleboi.emis.ge- განათავსა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, პროგრამები, მხარდამჭერი სერვისები, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები, ინფორმაცია სკოლის ფინანსების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მიერ სსიპ-განათლების მმართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწერილი წერილი სკოლის ვებ-გვერდთან დაკავშირებით
2. სასკოლო სასწავლო გეგმა
3. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
4. სკოლის შინაგანაწესი
5. საინფორმაციო დაფა
6. სკოლის სოციალური გვერდი
7. ფეისბუკის ჯგუფები
8. მშობელთა უკუკავშირები
9. სკოლის ვებ გვერდი
10. დირექტორის ბრძანება ვებ გვერდის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსურ მდგრადობა უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით. დაფინასების უმეტესი ნაწილი ხმარდება პერსონალის ხელფასით უზრუნველყოფას. დარჩენილი თანხა მიმართულია კომუნალური გადასახადებისა და იმ მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის, რაც სკოლას გამართულად ფუნქციონირებისათვის ჭირდება. სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმა და სკოლის ფიანსური რესურსი იყოს თავსებადი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას ფინანსების განკარგავს დადგენილი წესის შესაბამისად. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორი სასკოლო საზოგაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს მომავალი წლის შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით არაუგვიანეს 31 დეკემბრისა, დირექტორი წარუდგენს და სამეურვეო საბჭო ამტკიცებს მომავალი წლის ბიუჯეტს. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. წელიწადში ორჯერ სკოლის ბუღალტერი ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ მართვას. ბუღალტერმა წარმოგვიდგინა საპროგნოზო ბიუჯეტი, ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, შესყიდვების წლიური გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):3

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი
2. შესყიდვების გეგმა
3. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, არის სკოლის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაციას და იმ ფუნდამენტურ საკანონმდებლო აქტებს, სადაც გაწერილია ბავშვის უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესში დაწვრილებით არის გაწერილი როგორც მოსწავლის წახალისების, ისე დისციპლინური წარმოების წესი. კერძოდ, დოკუმენტის #35-#36 მუხლებში გაწერილია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისმგებლობის სახეები, დისციპლინური სახდელები შესაბამისობაშია დისციპლინურ გადაცდომებთან ისე, რომ არ ირღვევა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები, დაცულია ინფორმაციის კონფიდენციალურობის საკითხი, ყველა საკითხი შესაბამისობაში ზოგადი განათლების კანონთან და ბავშვის უფლებათა კოდექსთან, დაწვრილებით არის გაწერილი დირექტორისა და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილების დისციპლინური წარმოების წესში. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, თუმცა ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს დისციპლინურ კომიტეტს არ განუხილავს არც ერთი მოსწავლის საკითხი, რაც დადებით ტენდენციაზე მიანიშნებს. სკოლას ასევე ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ძირითადი უბლებები და თავისუფლებები. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ასევე წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორისთვის რეკომენდაციების გაცემა.

სკოლის მოსწავლეები სწავლობენ უსაფრთხო გარემოში. შიდასასკოლო რეგულაციები, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, სკოლაში მოქმედი მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა ადასტურებს, რომ სკოლაში მოსწავლეთათვის დაცულია უსაფრთხო გარემო. ვიზიტის დროს ინტერვიუებისას ნათელი გახდა, რომ მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების უზრუნველსაყოფად ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება

სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა.

საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.

სასკოლო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცედურები, სსსმ მოსწავლისთვის ინდ. გეგმის შემუშავების რეგულაციები. სკოლაში სსსმ მოსწავლეებს ემსახურებათ ერთი სპეც. მასწავლებელი და ენისა და მეტყველების თერაპევტი. აღნიშნული პირები სკოლამ დაასაქმა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნებში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე; სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ქმნის თითოეული სსსმ მოსწავლისთვის ინდ. ჯგუფებს, არსებობს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ხორციელდება მისი სისტემატური მონიტორინგი. სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლას გამოყოფილი აქვს რესუს-ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. შემუშავებულია რესურ-ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობის განრიგი. სსსმ მოსწავლეები თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში ჩართულნი არიან ასევე არაფორმალური განათლების აქტივობებში: პროექტებში, გამოფენებსა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება, ასევე დამტკიცებული აქვს მოსწავლის, მშობლის პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. დებულება სრულად მოიცავს მოსწავლის უფლებებს, ხოლო გასაჩივრების პროცედურებს რაც შეეხება სკოლას ასევე ბრძანებით აქვს დამტკიცებული საჩივრის განხილვის წესი რომელშიც გათვალისწინებულია გასაჩივრების დეტალური პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ყველა რეგულაცია, რომელიც მოსწავლეთა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, შექმნილია ზოგად განათლებაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით სკოლის საჭიროებების გათვალისწინებით, გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის შინაგანაწესი შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭო მიერ. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა

სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა მშობლებს და მოსწავლეებს. ორივე დოკუმენტი სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. თუმცა, სსიპ-განათლების მმართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნილი აქვს წერილი, იმის შესახებ, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით სკოლა ცნობილი იქნა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლად და ავტორიზაციის მე-3 სტანდარტი, რომლის დაკმაყოფილებაც სკოლას ევალება, ითვალისწინებს სკოლის ვებ გვერდის არსებობას, რომელიც სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს. სკოლისთვის ცნობილია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს საჯარო სკოლებისთვის ვებ -გვერდის შექმნას და ამავე წერილშივე ითხოვს პრობლემის მოგვარებაში მიხმარებას.ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია მზადაა ვებგვერდის შექმნისთანავე ყველა საჭირო ინფორმაცია ატვირთოს ვებგვერდზე ინსტრუქციების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას განაცხადთან ერთად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ წარმოუდგენია ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით კანონიერ წარმომადგენელლთან გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ წიგნების გადაცემსთან დაკავშირებით, სასწავლო წლის დასაწყისში. თუმცა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან მათი უფლებების, მოვალეობებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მშობელთან დადებული გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი

2. მოსწავლსი, მშპობლის პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები
3. საჩივრის განხილვის წესი
4. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
5. მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
6. ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა
7. ინდივიდუალური გეგმა
8. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა
9. სკოლის მიერ სსიპ-განათლების მმართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწერილი წერილი სკოლის ვებ-გვერდთან დაკავშირებით
10. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. ასევე სკოლამ ვიზიტის დროს დაგვახვედრა ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების და სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუნეტის საფუძველზე ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. კერძოდ, მოსწავლის ჩარიცხვა სკოლაში ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია ხდება ელექტრონულად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტით, რომელშიც გამოყოფილია სსსმ მოსწავლეთა კვოტაც. თუ მოსწავლე გადმოდის მობილობით, ასეთ შემთხვევაში მშობლის განცხადების შემდეგ სკოლა ელექტრონული ფორმით მოთხოვნას უგზავნის გამშვებ სკოლას და იღებს მისგან დასტურს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის ჩარიცხვა. ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეს კლასი და საფეხური დაძლეულად ეთვლება იმ შემთხვევაში, თუ მისი წლიური შეფასება არის 5 და მეტი ქულა. სკოლას გათავისებული აქვს, რომ სტატუსის შეჩერების საფუძველი არის მშობლის განცხადება, მოსწავლის მიერ სკოლის ზედიზედ 45 დღის განმავლობაში გაცდენა. ამ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელს ევალება აწარმოოს მოკვლევა მიზეზების შესახებ და ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორს. მოკვლევა ხორციელდება გაცდენიდან 10 და 20 დღის

გასვლის შემდეგ. ყველაფერი ეს დადასტურდა ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. შესაბამისად **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული იყო სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოსწავლეების აკადემიური მაჩვენებლების ზრდას. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსწავლეთა შორის მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრის ჩატარება და გამარჯვებულის გამოვლენა. თანამშრომლობა კოლეჯ „ჰორიზონტთან". პროექტის კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებში მიზნად დაისახეს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია ჩურჩხელის დამზადების შესახებ, მოამზადეს კედლის გაზეთი და ასევე დაამზადეს ჩურჩხელები, პროექტის ფარგლებში განიხილეს ასევე ქართული ვაზის ენდემური ჯიშები, გაეცნენ ინფორმაციას სხვადასხვა ჯიშის ყურძნის თაობაზე, მოამზადეს პოსტერები ვიაზულურად ნახეს როგორ მზადდება ვაზის ნერგი ღია გრუნტში გადასატანად. ასევე პროექტის ფარგლებში ეწვიენ აჭის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას. სკოლა მე-4 კლასის მოსწავლეთა მშობლებს აცნობს ინფორმაციას მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს მათ არჩევანს. მშობლებსა და მოსწავლეებს ასევე აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ მასწავლებლები თავაზობენ დამატებით მეცადინეობებს, რემედიაციის გეგმის ფარგლებში. სხვა ფასიან დამატებით მომსახურებას სკოლა მოსწავლეებს არ თავაზობს, რადგან არ არის მომართვიანობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სოციალური გვერდისა და „ეტალონისთვის" მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით აშუქებს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს. სკოლის

სოციალური ქსელით პერსონალის ან მასწავლებლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია დაგეგმილი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ არის თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. ყველა აქტივობა არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული და სკოლის ფეისბუქ გვერდზე ფართოდ გაშუქებული, სადც მოსწავლეთა სურათები მშობელთა თანხმობის საფუძველზეა გამოქვეყნებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მშობლის განცხადება სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.*
2. *სასკოლო სასწავლო გეგმა.*
3. *მშობელთა კრების ოქმი*
4. *ფოტოები სოციალურიქსელიდან.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, რომ ელშიც გაწერილია პირველკლასელთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა, სსსმ მოსწავლეთა, ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციის მექანიზმები, ასევე დოკუმენტში ასახული რა არის წარმატებული ადაპტაციისა და დეზაადაპტაციის ნიშნები, გაწერილია ნაბიჯები როგორ უნდა იმუშაოს სკოლამ მოსწავლესთან და მშობეთან ასეთ შემთხვევაში. სკოლა გამოთქვამს მზაობას შემუშავებული მექანიზმების შესრულებასა და საჯაროობასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ახალი სასკოლო გარემო ყველა ბავშვისთვის განსაკუთრებულ ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენს. ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ზეიმებს, რათა პატარებს დადებითი ემოცია გაუჩნდეთ სკოლისადმი. სკოლა ურთიერთობს მის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღთან. სკოლის ადმინისტრაცია

და პირველ კლასში შემავალი მასწავლებლები ბაღის აღსაზრდელთა მშობლებისთვის აკეთებენ პრეზენტაციას, აცნობენ სკოლის კულტურას, მიღწევებს, იმ მეთოდებს, აქტივობებსა და რესურსებს, რომელსაც დაეუფლებიან პირველკლასელები. ინტერვიუდან ირკვევა, რომ როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის, ხელი ეწყობა მის ადაპტაციას სკოლასთან, შესაბამის კლასთან და ძირითადად ამ ფუნქციას კლასის დამრიგებელი ითავსებენ. ახალ მოსწავლეს სკოლაში თანატოლები უწევენ მეგზურობას, რაც აადვილებს მის ადაპტაციას კლასთან და სკოლასთან. სკოლაში თბილი და მეგობრული ატმოსფეროა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი, სკოლის მხრიდან მაგალითის სახით წარმოდგენილია მე-4 კლასის სადამრიგებლო პროგრამა. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს, რომელიც სკოლაში აქვთ. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები და მორგებული იქნება საჭიროებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დირექციასთან, მასწავლებლებთან, კლასის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში ცნობილი გახდა, რომ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სისტემატიურად აცნობენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სჭირდება მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, სკოლა/მასწავლებელი სთავაზობს მას დამატებით კონსულტაციებს, მეცადინეობებს. დამატებითი კონსულტაციებსა და მხარდაჭერას მოსწავლე იღებს როგორც პირისპირ წინასწარ გაწერილი გეგმა-გრაფიკით, ასევე ონლაინ ფორმით. ამისთვის სკოლა ძირითადად იყენებს

teams-ის პლატფორმას, messenger ჯგუფებს ან სატელეფონო კომუნიკაციას. კლასის ხელმძღვანელების მიერ ინფორმირებულნი არიან მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომ უფლება აქვთ არ დაეთანხმონ საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვონ ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ისინი მზად არიან დამატებით გაუწიონ მხარდაჭერა მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად თუმცა აღნიშნული აქტივობის შესაბამისი დოკუმენტი სკოლას არ გააჩნია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პირველივე შეხვედრაზე, ასევე მოსწავლეებთან კლასის კრებაზე ხდება მათთვის უფლებების და მოვალეობების გაცნობა. ამასთან იქვე ეცნობიან უფლებათა განხორციელების მექანიზმებს. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის ინფორმაციას მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი დახმარება გადამისამართებაში. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას, დახასიათება/რეკომენდაციას, ნიშნების ფურცელს, რაც ნათლად გამოჩნდა eflow-ს გადამოწმებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეთა ინიციატივით ეწყობა სასკოლო ექსკურსიები, ლაშქრობები სპორტული შეჯიბრებები. ხდება გამარჯვებული მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოება. ჩატარებული ღონისძიებები შუქდება სკოლის ფეისბუქგვერდზე. თუმცა სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია მოსწაველთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები, თუმცა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში მე-7 მუხლშ გაწერილია მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. ნებისმიერი პროექტის თუ აქტივობის განხორციელების შემდეგ სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა თუ დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, რომელიც მოწოდებულია როგორც ზეპირად, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებულ კომენტარებში. ამ უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათ, თავი იგრძნონ სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან წევრად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პროექტი (საკლასო/სასკოლო)
2. სკოლის სოციალური გვერდი
3. მოსწალეთა თვითმმართველობის ოქმი
4. სადამრიგებლო პროგრამა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სპეციალური კურსი კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ჩაშენებული სასკოლო სასწავლო გეგმაში არ აქვს, მაგრამ კლასის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიის თაობაზე. ატარებენ საუბრებს რომელი პროფესია მოსწონთ, რომელია ყველაზე

პოპულარული, საინტერესო, საჭირო პროფესია. სკოლაში საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან მოეწყო შეხვედრა კოლეჯ ,,ჰორიზონტის“ წარმომადგენლებთან. მათ მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია კოლეჯში არსებული პროფესიების თაობაზე. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ადგილზე ეწვიოს პროფესიულ სასწავლებლებს, რათა სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდეთ მოსწავლეებს როგორც პროფესიების ასევე სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თაობაზე. სკოლს ვურჩევთ არ შემოიფარგლონ მხოლოდ პროფესიული სასწავლებლის,,ჰორიზონტის“ ინფორმაციით და მოსწავლეებს შესთავაზონ უფრო ფართო სპექტრი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის ინფორმაციას ამ მიმართულებით განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტარდება შესაბამისი აქტივობები. სკოლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იყოს მრავალფეროვანი და არ შემოიფარგლებიდეს მხოლოდ,,ჰორიზონტის“ აქტივობებით, რადგან საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ უფრო მეტი შესაძლებლობა ქონდეთ კარიერის განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა მზადაა მომავალში კიდევ უფრო გააფართოვოს ამ მხრივ მცდელობები და მოიძიოს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯი, რომელსაც ექნება სურვილი მათთან თანამშრომლობის. გააფორმოს მათთან მემორანდუმი, ასევე გამოიყენოს მშბელთა რესურსი და ასაუბროს ისინი თავისი პროფესიის შესახებ. მოიწვიოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და გააფართოოს მოსწავლეთა ცოდნა პროფესიების თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სოციალური გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ცალკეული დოკუმენტებით და ინეტრვიუებით დასტურდება, რომ სკოლა სპეციალური საჭიროებების გამოვლენისა და შემდომი პროცესების მართვის კუთხით იცავს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნორმას: მოსწავლესთან გამოხატული სირთულის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი ატყობინებს დირექციას და ხდება მშობლის ინფორმირება. მშობლის თანხმობისა და განცხადების საფუძველზე ხდება მოსწავლის შეფასება და პირველადი მართვის გეგმის შემუშავება. თუ მიუხედავად პირველადი მართვის გეგმის განხორციელებისა, ვერ მიიღწევა სასურველი შედეგი, სკოლა იწვევს მულტიდისციპლინურ გუნდს და ხდება მოსწავლის შეფასება. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სტატუსის მინიჭების შემდეგ დგება ისგ ჯგუფი, რომელიც ახორციელებს შეხვედრას, რათა მოხდეს მოსწავლის აკადემიური და კოგნიტური უნარის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარის განსაზღვრა, დადგინდეს თუ რომელ საგანში/საგნებში სჭირდება მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლაში სწავლობს 4 სსსმ მოსწავლე, eschool-ის ბაზის გადამოწმებით დადასტურდა, რომ დასკვნები ატვირთულია ემისის ბაზაში და განხორიცელებულია საჭირო პროცედურა. ისგ ჯგუფების შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებლებმა განსაზღვრეს მოსწავლეთა აქტუალური დონე, შეადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და

მოსწავლეთა შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით გაწერეს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოიძიეს რესურსები, შეარჩიეს აქტივობები და მოახდინეს სასკოლო დავალებების ადაპტირება. შემუშავებული და თალსაჩინოდ გამოკრულია რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილი. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები. ასევე ჩართულია ენისა და მეტყველების სპეციალისტი, გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტად არ აქვს გაწერილი სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, მაგრამ სკოლის სპეციალურ მასწავლებელთან და ენისა და მეტყველების თერაპევტთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა იყენებს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სხვადასხვა მექანიზმებს. სკოლას მიეცა რჩევა აღნიშნულ მექანიზმები გააერთიანოს ერთ დოკუმენტად, სადაც სრულყოფილად გაწერს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორთფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომია მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულ ცხრილზე მოსწავლის სახელი და გვარი წარმოდგენილია მხოლოდ ინიციალებით. სსსმ მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების მიზნით ისინი აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
2. მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება
3. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა.
4. ინდ.გეგმები
5. ინდ. გეგმის შეფასების ფორმა
6. სასკოლო სასწავლო გეგმა
7. ვიზიტის დროს დათვალიერება

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აცნობს ინფორმაციას, რომ მათი სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა სკოლამ შესთავაზოს დამატებით საგანმანათლებლო არასავალდებულო მომსახურება ფასიანი წრეების სახით. აღნიშნულის შესახებ კლასის ხელმძღვანელები მშობელთა კრებებზე, ასევე ინდივიდუალური შეხვედრების დროს აცნობენ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, მაგრამ მშობელთა მხრიდან დაინტერესება არ ყოფილა. ამ დროისთვის სკოლაში დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ ხორციელდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში სკოლას ემსახურება ტრანსპორტი 2 მიმართულებით. ტრანსპორტით სარგებლობს 12 მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას სხვა დამატებითი არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება არ აქვს, ხოლო რაც შეეხება ტრანსპორტს, მისი მომსახურება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით. სკოლაში გამოყოფილი პასუხისმგებლი პირი აწარმოებს ტრანსპორტით მომსახურების ტაბელს, სადაც გაწერილი კონკტეტული მარშუტები გზები მოსწავლეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა. აღნიშნული ტაბელი იწარმოება ყოველდღიურად ყოველ სასწავლო დღეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმნტი სკოლას არ გააჩნია, თუმცა აღნიშნული რეგულირდება სატრანსპოტრო კომპანიასა და მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელი ხელშეკრულების პირობებშიც გაწერილია სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების ნორმები და უსაფრთხო გადაადგილების ვალდებულება. კომპანია გამოთქვამს მზაობას მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების თაობაზე მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ტრანსპორტით მომსახურების უწყისი

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული დანართით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მეორე პუნქტითაც სკოლა განსაზღვრავს რომ კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია და მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებსა და დირექტორის მოადგილეზე. დირექტორის მოადგილის შტატი არ არის სკოლის საშტატო განრიგში. მსგავსი გარემოება იკვეთება მესამე პუნქტშიც, სადაც პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებებში გაწერილია დირექტორის მოადგილის ფუნქციებიც. **რჩევა:** სკოლამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საშტატო განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციებს და ვალდებულებებს: სკოლის დირექტორი (რადგან არ არის სკოლაში დირექტორის მოადგილის შტატი), თუ დირექტორის ბრძნებით განსაზღვრული პირი, რომელიც დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთვევაში ასრულებს მის მოვალეობას. უმჯობესი იქნება, თუ ეს ფუნქციების ჯეროვნად იქნება გადანაწილებული დირექტორსა და მისი მოვალეობის შემსრულებელს შორის.

ამავე მეთოდოლოგიის მეოთხე პუნქტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესები. ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპი არის კურიკულუმის შემუშვება, რაც გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. აქვეა გაწერილი პროცედურები: ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილლეობით შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები ,,მონაწილლეობით შეიმუშვებს" და ,,შეთნხმებით", კათედრის ხელმძღანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. ეს საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას განხილვის პროცესში გამოხატოს თვისი შეხედულებები და დამოკიდებულებები. სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს,

კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუმცა აღნიშნული არ არის მოცემული მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **რჩევა:** მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.

ამავე მეთოდოლოგიის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების პროცედურები, რომლის მიხედვითად ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად და საფეხურის შედეგების მისაღწევად, რომელ კომპლექსურ დავალებას გამოიყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად, რა

ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშობის პროცესში, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის წევრებთან და დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო კურიკულუმის პროექტის შემუშვების პროცესში. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთრ გამოცდილებას, მიღწევებს, ხარვეზებს და იზიარებდნენ კოლეეგების გამოცდილებას, ინტერესებს და შემოთავაზებებს. წყვილებში და ჯგუფებში მუშაობდნენ მხარდამჭერი ჯგუფების მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე, სადაც ხდებოდა კოლეგების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პედაგოგები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული იყო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. კურიკულუმი შემუშვებულია კათედრების მიერ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში და მორგებულია როგორც მასწავლებლების და მშობლების, ისე მოსწავლეთა ინტერესები. მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისინებით შემუშვებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ადაპტირებულია მულტიდისციპლინური გუნდის რეკომანდაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია სპეციალური მასწავლებლის ინტერესებიც, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტთან ერთად უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს პედაგოგებთან.

სკოლაში ორივე საფეხურზე მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, შესაბამისად გათვლილია და გათვალისწინებულია მცირერიცხოვან კლასებში მუშაობის სპეციფიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე ახალი სასწავლო წლისათვის, უკვე დამტკიცებულ კურიკულუმში ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კრიკულუმის შემუშვების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს კათედრების უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშვების პროცესი მიმდინარებს როგორც კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით, ასევე, სხვადასხვა კათედრების ერთმანეთთან თაანამშრომლობთ. კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განიხილავდნენ საჭირო მასალებს, გამოხატავდნენ საკუთრ აზრს უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე და იძლეოდნენ რეკომენდაციებს საკუთარი გამოცდილებიდან. ასევე, უზიარებდნენ ერთმანეთს ქოუჩინგის დროს მიღებულ ინფორმაციას და აცნობდნენ კოლეგებს საკუთარ მიგნებებს. სკოლაში უკვე არსებობს საგნობრივი კურიკულუმების პროექტები, რომლებიც შემუშვებულია დირექტორის მონაწილეობით და უახლოეს მომავალში წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო ამის შემდეგ წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიაკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრები თავისი ფუნქციის შესაბამისად იზიარებენ კურიკულუმს:

მასწავლებლები კათედრებზე შემუშავების პროცესში, დირექცია შემუშვების პროცესში მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოს წევრები (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პროცესში. მათ შეუძლიათ თავისი მოსაზრება დააფიქსირონ კურიკულუმებთან მიმართებით. სკოლა, ასევე, იყენებს გაზიარების სხვადასხვა მეთოდებს: საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათები, სოცილური ქსელები, ონლაინ შეხვედრები და სხვა. კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლებიც ეძლევათ ბავშვებს, ხელმისაწვდომია მათი მშობლებისთვისაც. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, კათედრის თავმჯდომარეებთან და დირექტორთან ინტერვიუს დროს იკვეთებოდა სხვადასხვა აქტოვობები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, თუმცა ამ პროცესებს ძირითადად ყვებოდნენ ზეპირად და ოფიციალურად გაფომებული დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებდა მონაყოლს, სკოლას არ აქვს შექმნილი. თუმცა აფიქსირებდნენ, რომ მომავალში აუცილებლად შეინახავენ ამ შეხვედრის ამსახველ მასალებს. სკოლის ინფორმაციით სასკოლო თემის წარმომდგენლებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა გზით: სკოლაში საინფორმაციო დაფის გამოყენებით. მშობლის ბარათებით, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში შეტანილი კომპლექსური დავალებებით და მისი ბარათებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ჩანს მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშვებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;
2. დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
3. ფოკუს ჯგუფების შევსებული კითხვარები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. მოსწავლის და მშობლის ბარათები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად

ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. კერძოდ ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით.

მნიშვნელოვანია სკოლამ გაითვალისწინოს **რჩევა,** რომ უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში სრულყოფილად მოხდეს ცნებების/ქვეცნების გაწერა შერჩეული კომპლექსური დავალებების შესაბამისად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. მაგალითად: იმ თემებში, სადაც სწავლება უნდა განხორციელდეს კომპლექსური დავალების დახმარებით განსაზღვრულია მათემატიკის სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. დაწყებით საფეხურზე საგნების სწავლა-სწავლების პროცესს გეგმავენ ახალი სკოლის მოდელის დანერგვის ეტაპზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე, კერძოდ, სკოლაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების დახვეწის გზით, რომელშიც მოცემული აქტივობები გათვლილი იქნება არა მარტო მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე, არამედ, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების

დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ და შემდგომშიც გამოიყენებენ დამატებით ლიტერატურას, ინტერნეტით მოძიებულ მასალებს. ასევე, აქტიურად იყენებენ პროექტულ სწავლებას. აღნიშნულის დასადასტურებლად მასწავლებლებმა წარმოადგინეს პროექტი სუფთა წყალზე, რომელიც საბოლოოდ სპექტაკლის სახით იქნა წარმოდგენილი. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია სხვადასხვა საგნების მიერ რამდენიმე მოსწავლის ისგ-ის ნიმუშები. კომლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი ასეთი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. დაწყებითი კათედრა გეგმავს თემატური ერთეულების არა მარტო სსსმ მოსწავლებისთვის მოდიფიცირებას, არამედ თემატურ ერთეულებში სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩაშენებას, რაც ითვალისწინებს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი მასალის შესაბამისად მიწოდებას. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობის ისე აგებას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ სასურველი ფორმით. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საგნების მიერ მოცემულია დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ერთი კონკრეტული თემის ფარგლებში, ასევე,

კომპლექსური დავალების შეფასების შემთხვევაში. დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასებში განმავითარებელი შეფასების გარდა მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი შეფასებითაც. სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც კონკრეტული თემის, ასევე, საშინაო და დამოუკიდებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ სხვა თემების შეფასების დროსაც. ასევე, დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც მნიშვნელოვანია სწორი განმავითარებელი შეფასება. რიგ საგნებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების და დახვეწის ეტაპზეა. წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მკვიდრ წარმოდგენებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. **რჩევა:** უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში კურიკულუმში მოაზრებული ყველა კომპლექსური დავალებისათვის გაიწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები უნდა დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დაკონკრეტდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ასევე: უცხოურ ენებში, დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უნდა აისახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიემართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენის დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. კერძოდ, წარმოდგენილია 2022 წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, შესაბამისი მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კოლეგები უზიარებდნენ საკუთარ შეხედულებებს კომპლექსური დავალებების და მათი განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით. ახალი სასწავლო წლისათვის მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სკოლა სკოლა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
2. საშინაო და დამოუკიდებელი სამუშაოების შეფასების რუბრიკები;
3. სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო გეგმები;
4. ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის დებულება;
5. განმავითარებელი შეფასებები;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;
8. მოსწავლეთა ნამუშევრები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კათედრა ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე

დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად, მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. გარდა კომპლექსური დავალებებისა დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო თემებზე იგეგმება ასევე პროექტები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მისცემს მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის კათედრამ გადაწყვიტა 2023-2024 სასწავლო წელს პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ გონებრივი იერიშის მეთოდს, ახალი თემის ახსნის დროს ააქტიურებენ წინარე ცოდნას ამ და სხვა მეთოდებით, ხოლო საგაკვეთილო დროის შემდეგ ეტაპებზე ხდება ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე

მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებით კლასებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები. მაგალითად: მე-3 და მე-4 კლასში განსახორციელებელ კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეებმა უნდა შექმნან ე.წ. „რობოტი“, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა მათემატიკური ოპერაციების განხორციელება. ყველა მოსწავლემ უნდა შექმნას საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული „რობოტი“, ეს კი მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გამომჟღავნებას. ანალოგიურია სხვა კლასების კომპლექსური დავალებებიც. შესაბამისად, გასახორციელებელ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებით კლასებში სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით, ხოლო კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. მაგალითად: სკოლას წარმოდგენილი აქვს მე-3 კლასში განსახორციელებელი კომპლექსური დავალება, სადაც მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ საკუთარი ცოდნა საქართველოს კუთხეებზე და ქალაქებზე. ე.ი. მათემატიკა უნდა

დაუკავშირონ სხვა საგნებში მიღებულ ცოდნას, ანუ მოსწავლეებმა უნდა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადაგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება სხვა კლასებსა და საგნებშიც. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ ინტერგირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ჩაატარონ სხვა და სხვა საგნებში ინტეგრირებული გაკვეთილები. ესეც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ერთმანეთს დაუკავშირონ სხვადასხვა დროს, ცხოვრებისეულ კონტექსტში, თუ სხვა და სხვა საგნის ფარგლებში, მიღებულ ინფორმაციას გაუკეთონ ორგანიზება და დაუკავშირონ ერთმანეთს შეძენილი ცოდნა. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
2. ყველა კლასის მატრიცა და მშბლის ბარათი;
3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. კერძოდ, ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური

განვითარებისაკენ. დაწყებით საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებლები ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში და სოციალური უნარების განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი პროექტთაგანი იყო გარემოს დაცვის მიმართულებით: ,,გაიგე ბუნების ხმა“. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებით საფეხურზე ძირითადად ხორციელდება განმავითარებელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცებში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა, სხვა შეფასების ფორმებთან ერთად, იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. სკოლის მე-5 და მე-6 კლასებში, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად, ასევე, გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები, ასევე, მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ისგ-ს შეფასების რუბრიკა, ასევე, სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასების

ვალიდურობაზე, გამჭვირვალეობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე პასუხისმგებელია თოთოეული პედაგოგი და ყველა შესაბამისი კათედრა. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვითშეფასების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხოლო მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები და ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). როგორც დოკუმენტში იკითხება, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული

მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
2. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
3. საშინაო და დამოუკიდებელი სამუშოს შეფასების რუბრიკები;
4. განმავითარებელი შეფასება;
5. მოსწავლის პირადი საქმეები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კათედრა გეგმავს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია

სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლეების ისგ-ის ნიმუში. წარმოდგენილია სკოლის თვითშეფასების კითხვარების ფორმები, რომლებიც შევსებულია მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუს-ჯგუფებით. ამ კითხვარებში საუბარია სკოლაში შექმნილ ფიზიკურ გარემოსა და ურთიერთთანამშრომლობაზე. სკოლა ქმნის მხარდამჭერ და თანამშრომლობით გარემოს, რაც გამოკვეთილი იყო სკოლაში ვიზიტის დროს. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და ხარისხის მართვის ანგარიში, სადაც მოცემულია ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების ანგარიში. სკოლაში, ასევე შემუშავებულია ხარისხის გჯუფის დებულება, რომელშიც ზუსტადაა გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

მხარდაჭერისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა თანამშრომლობითი კულტურის მაგალითები, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით შექმნილი კომპლექსური დავალებები, თუ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები ამის დასტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. დაწყებითი საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მასწავლებლები იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, გეგმავენ გაკვეთილებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი. ამას ხელს უწყობს მასწავლებელთა შეხვედრები, კათედრების შეხვედრები, გასვლითი გაკვეთილები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. გაკვეთილე დაკვირვების ფორმა;
3. ხარისხის მართვის ანგარიში;
4. ხარისხის ჯგუფის დებულება;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშვებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარების პროცესი უნდა მოიცავდეს: ა) დაგეგმვის, ბ) დანერგვის, გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დ) რევიზიის ეტაპს. თითოეულ ეტაპი ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობით. აქვე გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის განვითარების პროცესში. კურიკულუმის განვითარების მეთოლოგიაში მოცემულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების გზა, განმარტებულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, რაც დაეხმარება სკოლას სწორად და მიზნობრივად განახორციელოს მონიტორნიგნი და შეფასება. აქვე გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქცია-მოვალეობები, რაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, მათი ფუნქცია-მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობების გაზიარებაში. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა ასევე, რომ საგნობრივი კათედრის წევრები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. **რჩევა:** ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც

მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, **ვურჩევდით** სკოლას შეიმუშაოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით/დროის რა შუალედებში) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების ერთი დოკუმენტის შექმნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობები, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი მონაწილეობს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებიც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. ასევე, კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ, აგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალებს და ფასილიტაციას უწევს კათედრის სხდომებს (ქმნის დღის წესრიგს, გამოკვეთს პრობლემური საკითხებს), მონაწილეობს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და შუამავალია სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის. ამავე მეთოდოლოგიის

მიხედვით, სკოლის დირექცია მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში, უზრუნველყოფს მიღებული შედეგების დოკუმენტირებას და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციას, ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული მეთოდოლოგიის ეფექტურად განხორციელება უზრუნველყობს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის წევრები, მონიტორინგის ფარგლებში, ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. შემდგომ ფოკუსირებულად აკვირდებიან გასაუმჯობესებელ მხარეებს. პედაგოგები ახდენენ თვითრეფლექსიას, ერთმანეთს უზიარებენ ინფორმციას და ხარისხის ჯგუფისგან იღებენ საჭირო რეკომენდაციებს, მხარდაჭერასა და დახმარებას. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ამასთან, საგნობრივი კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე , რათა გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მასწავლებელი გაკვეთილების ჩატარების პარალელურად აღწერს და კოლეგებს უზიარებს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის

მიღწევებთან დაკავშირებით. კათედრის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. ასევე, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწოდებს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს, კერძოდ: ფასილიტაციას უწევს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და მათ გამოყენებაზე, ამთლიანებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, შემუშავდება რეკომენდაციედაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად. პრობლემის დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით, სკოლა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მონიტორინგს. ტარდება გაკვეთილები, რომელსაც ესწრებიან ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის წევრები. ხარისხის მართვის ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს და შემდგომ ფოკუსირებულად აკვირდება გასაუმჯობესებელ მხარეებს. უმეტეს შემთხვევაში განხორციელებული აქტივობების შედეგად ხდება პრობლემის აღმოფხვრა. გარდა ამისა,

საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა და მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/ საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. სიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიში;
2. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები დისკუსიის, ექსპერიმენტის ჩატარების, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის და ზეპირმეტყველების დროს. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოადგინილია შემაჯამებელი წერის ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკით. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები, სადაც მოცემულია რომ ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე,

სასწავლო თემების ცვლით შეცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თავისი თემატური ერთეულებით საშლებას იძლევა, შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ამავე მეთოლოგიაში მოცემულია, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **რჩევა:** მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას. ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ კრიტერიუმით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, თვითშეფასება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების

რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს შუალედური მიზნები, რომლის მიხედვითაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. აქვე განმარტებულია, რომ თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში. საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობა. წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს. თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად, სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა და თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. ასევე, განმარტებულია, რომ საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს. როცა მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე იმუშავებს და შექმნის პროდუქტს ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად, ხდება როგორც ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება,

ასევე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება, როგორც ცოდნის სამივე კატეგორიის უნარის შეფასება, ასევე, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება, ასევე ცოდნის ერთობიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება და მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის და მის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასებაც. მასწავლებლებს, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა გამოხატავს მზაობას შეფასება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა
   და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშვებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის

გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ასევე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში, პედაგოგიური საბჭოს სხდომების წლიური მუშაობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები, სკოლის მიერ წარმოდენილ SWOT ანალიზის შედეგები იძლევა საფუძველს რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რისთვისაც სკოლა გამოხატავს მზაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
ომპონენტი 2.1 ურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ომპონენტი 2.2 ურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ომპონენტი 2.3 ურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ომპონენტი 2.4 ურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება - საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული დანართით წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მეორე პუნქტითაც სკოლა განსაზღვრავს რომ კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია და მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებსა და დირექტორის მოადგილეზე. დირექტორის მოადგილის შტატი არ არის სკოლის საშტატო განრიგში. მსგავსი გარემოება იკვეთება მესამე პუნქტშიც, სადაც პროცესში ჩართული მხარეების ვალდებულებებში გაწერილია დირექტორის მოადგილის ფუნქციებიც. **რჩევა:** სკოლამ უნდა

უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტის სკოლის საშტატო განრიგთან შესაბამისობაში მოყვანა და იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეასრულებს დირექტორის მოადგილის ფუნქციებს და ვალდებულებებს: სკოლის დირექტორი (რადგან არ არის სკოლაში დირექტორის მოადგილის შტატი), თუ დირექტორის ბრძნებით განსაზღვრული პირი, რომელიც დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთვევაში ასრულებს მის მოვალეობას. უმჯობესი იქნება, თუ ეს ფუნქციების ჯეროვნად იქნება გადანაწილებული დირექტორსა და მისი მოვალეობის შემსრულებელს შორის.

ამავე მეთოდოლოგიის მეოთხე პუნქტით გაწერილია კურიკულუმის განვითარების პროცესები. ამ პროცესის ერთ-ერთი ეტაპი არის კურიკულუმის შემუშვება, რაც გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო პროგრამების და მისი რეალიზებისათვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. აქვეა გაწერილი პროცედურები: ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, პედაგოგიური საბჭო დირექტორის მონაწილლეობით შეიმუშვებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას. დოკუმენტში ხაზგასმული სიტყვები ,,მონაწილლეობით შეიმუშვებს“ და ,,შეთნხმებით“, კათედრის ხელმძღანელს ავალდებულებს სასკოლო კურიკულუმის ამსახველი მასალები დროულად გაუგზავნოს დირექტორს და სამეურვეო საბჭოს წევრებს და მათთან ერთად განიხილოს ის ცვლილებები, რომლებიც წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე განხორციელდა. ეს საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას განხილვის პროცესში გამოხატოს თვისი შეხედულებები და დამოკიდებულებები. სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს,

კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება. თუმცა აღნიშნული არ არის მოცემული მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **რჩევა:** მნიშნელოვანი და სასურველი იქნება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში სკოლამ უფრო ნათლად, კონკრეტულად გამოკვეთოს, თუ როგორ, რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა.

ამავე მეთოდოლოგიის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტში გაწერილია კურიკულუმის შემუშვების პროცედურები, რომლის მიხედვითად ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმდებიან შემდეგ საკითხებზე: რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს, რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად და საფეხურის შედეგების მისაღწევად, რომელ კომპლექსურ დავალებას გამოიყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშობის პროცესში, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის წევრებთან და დირექტორთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა ის თანამშრომლობითი გარემო, რომლის ფარგლებშიც სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო კურიკულუმის პროექტის შემუშვების პროცესში. მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთრ გამოცდილებას, მიღწევებს, ხარვეზებს და იზიარებდნენ კოლეეგების გამოცდილებას, ინტერესებს და შემოთავაზებებს. წყვილებში და ჯგუფებში მუშაობდნენ მხარდამჭერი ჯგუფების მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებზე, სადაც ხდებოდა კოლეგების შეხედულებების და ინტერესების გათვალისწინება. ინტერვიუს დროს პედაგოგები და დირექციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათი ინტერესები გათვალისწინებული იყო კურიკულუმზე მუშაობის პროცესში. კურიკულუმი შემუშვებულია კათედრების მიერ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმში და მორგებულია როგორც მასწავლებლების და მშობლების, ისე მოსწავლეთა ინტერესები. მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისინებით შემუშვებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც ადაპტირებულია მულტიდისციპლინური გუნდის რეკომანდაციის შესაბამისად და გათვალისწინებულია

სპეციალური მასწავლებლის ინტერესებიც, რომელიც ენისა და მეტყველების სპეციალისტთან ერთად უწყვეტ რეჟიმში თანამშრომლობს პედაგოგებთან.

სკოლაში ორივე საფეხურზე მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა, შესაბამისად გათვლილია და გათვალისწინებულია მცირერიცხოვან კლასებში მუშაობის სპეციფიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია კითხვარები მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის. მომდევნო სასწავლო წელს, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, მოხდება სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის, უკვე დამტკიცებულ კურიკულუმში ასახული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. კრიკულუმის შემუშვების პროცესი სკოლაში მიმდინარეობს კათედრების უწყვეტი თანამშრომლობის ფარგლებში. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ თავის შეხედულებებსა და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშვების პროცესი მიმდინარებს როგორც კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობით, ასევე, სხვადასხვა კათედრების ერთმანეთთან თაანამშრომლობთ. კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მასწავლებლები უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, განიხილავდნენ საჭირო მასალებს, გამოხატავდნენ საკუთრ აზრს უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე და იძლეოდნენ რეკომენდაციებს საკუთარი გამოცდილებიდან. ასევე, უზიარებდნენ ერთმანეთს ქოუჩინგის დროს მიღებულ ინფორმაციას და აცნობდნენ კოლეგებს საკუთარ მიგნებებს. სკოლაში უკვე არსებობს საგნობრივი კურიკულუმების პროექტები, რომლებიც შემუშვებულია დირექტორის მონაწილეობით და უახლოეს მომავალში წარედგინება სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო ამის შემდეგ წარედგინება პედაგოგიურ

საბჭოს, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დაამტკიცებს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების **მიერ. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კურიკულუმის შემუშვების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების წევრები თავისი ფუნქციის შესაბამისად იზიარებენ კურიკულუმს: მასწავლებლები კათედრებზე შემუშავების პროცესში, დირექცია შემუშვების პროცესში მონაწილეობით, სამეურვეო საბჭოს წევრები (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების პროცესში. მათ შეუძლიათ თავისი მოსაზრება დააფიქსირონ კურიკულუმებთან მიმართებით. სკოლა, ასევე, იყენებს გაზიარების სხვადასხვა მეთოდებს: საინფორმაციო დაფა, მშობლის ბარათები, სოცილური ქსელები, ონლაინ შეხვედრები და სხვა. კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, რომლებიც ეძლევათ ბავშვებს, ხელმისაწვდომია მათი მშობლებისთვისაც. სკოლაში ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან, კათედრის თავმჯდომარეებთან და დირექტორთან ინტერვიუს დროს იკვეთებოდა სხვადასხვა აქტოვობები, რომლის დახმარებითაც ხდებოდა სასკოლო კურიკულუმის გაზიარება, თუმცა ამ პროცესებს ძირითადად ყვებოდნენ ზეპირად და ოფიციალურად გაფომებული დოკუმენტები, რომელიც დაადასტურებდა მონაყოლს, სკოლას არ აქვს შექმნილი. თუმცა აფიქსირებდნენ, რომ მომავალში აუცილებლად შეინახავენ ამ შეხვედრის ამსახველ მასალებს. სკოლის ინფორმაციით სასკოლო თემის წარმომდგენლებთან ინფორმაციის მიწოდება ხდება სხვადასხვა გზით: სკოლაში საინფორმაციო დაფის გამოყენებით. მშობლის ბარათებით, ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში შეტანილი კომპლექსური დავალებებით და მისი ბარათებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ჩანს მთელი სასკოლო

საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშვებაში, შესაბამისად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;
2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
3. ფოკუს ჯგუფების შევსებული კითხვარები;
4. სასკოლო სასწავლო გეგმა;
5. მოსწავლის და მშობლის ბარათები;

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ საგნობრივი კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმებით და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია და წარმოადგინა. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები და მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ცოდნის ტრანსფერს უწყობს ხელს. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სესაბამისად და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს კურიკულუმები აგებულია სამიზნე ცნებების შესაბამისად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა და საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეს განვითარებაში. ძირითადად ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, გათვალისწინებულია შუალედური მიზნები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, ეს ყველაფერი დაფუძნებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე. კერძოდ ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით, მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განსაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. **რჩევა:** უცხოურ ენებში, **საბაზო** საფეხურის ყველა

კლასში სკოლის მიერ სრულყოფილად უნდა მოხდეს ცნებების/ქვეცნების გაწერა შერჩეული კომპლექსური დავალებების შესაბამისად. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განსაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოებში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები და შესაბამისი ქვეცნებები. მაგალითად: სახელმწიფო ენის მეშვიდე მერვე და მეცხრე კლასებში გაწერილია თემები, კომპლექსური დავალების იდეები, რომლებსაც გვერდით მიწერილი აქვს ის სამიზნე ცნებები, რომლებზეც გადის შესრულებული დავალება, არის ასევე საჭირო კონტექსტმაგალითები. აქვე, საბაზო საფეხურის კურიკულუმში რამდენიმე თემასთან შეინიშნება სამიზნე ცნებისა და ქვეცნების არასწორად გაწერა შესაბამის გრაფებში. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ეს ტექნიკური ხასიათის შეცდომაა, რასაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაასწორებენ და კურიკულუმს სრულყოფილ სახეს მისცემენ. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით დგინდება, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელებამდე მასწავლებლები კიდევ ერთხელ გადახედავენ და მოდიფიცირებას გაუკეთებენ მათ, მოარგებენ საკუთარი მოსწავლეების შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. საბაზო საფეხურზე საგნების სწავლა-სწავლების პროცესს გეგმავენ ახალი სკოლის მოდელის დანერგვის ეტაპზე მიღებული გამოცდილების საფუძველზე, კერძოდ, სკოლაში განხორციელებული კომპლექსური დავალებების დახვეწის გზით, რომელშიც მოცემული აქტივობები გათვლილი იქნება არა მარტო მოსწავლის აკადემიურ წინსვლაზე, არამედ, გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იყენებენ და შემდგომშიც გამოიყენებენ დამატებით ლიტერატურას, ინტერნეტით მოძიებულ მასალებს. ასევე, აქტიურად იყენებენ პროექტულ

სწავლებას. კურიკულუმებში შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრიციპებს. საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის და ხასიათის და ნებელობის ფინქციური უნარების განვითარებაზე. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მექანიზმები, მოცემულია სხვადასხვა საგნების მიერ რამდენიმე მოსწავლის ისგ-ის ნიმუშები. კომლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხედვა, ინდივიდუალური მიდგომები, ყოველი ასეთი მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და მოტივაციის გზები. სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწვალეზე ორიენტირებული სიღმისეული სწვალა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. დიფერენცირებული

სწავლა-სწავლების პრინციპები მოქნილია და მორგებულია სასწავლო პროცესს, ითვალისწინებს მოსწავლის წინარე ცოდნას და მასზე აფუძნებს ახალს. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები გეგმავენ თემატური ერთეულების არა მარტო სსსმ მოსწავლებისთვის მოდიფიცირებას, არამედ თემატურ ერთეულებში სწავლების უნივერსალური დიზაინის ჩაშენებას, რაც ითვალისწინებს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი მასალის შესაბამისად მიწოდებას. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობის ისე აგებას, რომ მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ დავალების საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ სასურველი ფორმით. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საგნების მიერ მოცემულია საბაზო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ერთი კონკრეტული თემის ფარგლებში, ასევე, კომპლექსური დავალების შეფასების შემთხვევაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც კონკრეტული თემის, ასევე, საშინაო და დამოუკიდებელი სამუშაოების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ ანალოგიური რუბრიკებით იხელმძღვანელებენ სხვა თემების შეფასების დროსაც. ასევე, დადგინდა, რომ მომავალ სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო ტესტირება ჩატარდება წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დასაწყისში და წლის ბოლოს, ხოლო შეფასება ჩატარდება სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. სკოლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, რისთვისაც მნიშვნელოვანია სწორი განმავითარებელი შეფასება. რიგ საგნებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავების და დახვეწის ეტაპზეა. წარმოდგენილი რუბრიკები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიემართება გრძელვადიან მიზნებს და მკვიდრ

წარმოდგენებს. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სკოლაში შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. პედაგოგების მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო დიაგნოსტიკური შეფასების პირველი ინსტრუმენტი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასება ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. **რჩევა:** უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურის ყველა კლასში კურიკულუმში მოაზრებული ყველა კომპლექსური დავალებისათვის სკოლამ უნდა გაწეროს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკები უნდა დაეფუძნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას და დაკონკრეტდეს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსი ქვესაკითხებთან მიმართებით. ასევე: უცხოურ ენებში, საბაზო საფეხურის ყველა კლასში შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში უნდა აისახოს თემის ფარგლებში გასავლელი პროცესის აქტივობები და კრიტერიუმები მიემართოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ

ინდიკატორებს, რომლებიც დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით. ამასთან გათვალისწინებული იქნება მოსწავლის შეფასების ძირითადი ამოცანები: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები, გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე, რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად და ბოლოს, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, უნდა ემსახურებოდეს ამ ამოცანების შესრულებას, რათა დაიფაროს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიანი მიზნები. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენის დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სასწავლო თემის კომპლექსური დავალების დახმარებით განხოციელებაში. კერძოდ, წარმოდგენილია 2022 წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებები, შესაბამისი მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშებით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კოლეგები უზიარებდნენ საკუთარ შეხედულებებს კომპლექსური დავალებების და მათი განხორციელების ეტაპებთან დაკავშირებით. ახალი სასწავლო წლისათვის მათ დაგეგმეს კომპლექსური დავალებების განხორციელება ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ სკოლა დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2. საშინაო და დამოუკიდებელი სამუშაოების შეფასების რუბრიკები;
3. სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო გეგმები;
4. ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის დებულება;
5. განმავითარებელი შეფასებები;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;
8. მოსწავლეთა ნამუშევრები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები ორიენტირებულნი არიან სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები. ამ მეთოდით სწავლება კი თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, მათ უხდებათ ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად

გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება – შენება. კომპლექსური დავალება საყოფაცხოვრებო ტიპის, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებაა, შესაბამისად, მოსწავლეებს უხდებათ საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოვლენა. ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები, შესაბამისი დავალების ბარათებით და სხვადახვა რესურსებით. გარდა კომპლექსური დავალებებისა საბაზო საფეხურზე იგეგმება ასევე პროექტები. შესაბამისად, სასწავლო პროცესი მისცემს მოსწავლეებს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივმა კათედრებმა გადაწყვიტეს 2023-2024 სასწავლო წელს პროცესი წარმართოს კომპლექსური დავალებებით. კომპლექსური დავალებებით მუშაობა კი უზრუნველყოფს ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ყოველი კლასის კურიკულუმი ისეა აგებული, რომ ნებისმიერი თემა მოითხოვს შესაბამის წინარე ცოდნას, ძველი მასალის გახსენებას, ამიტომ სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ხშირად მიმართავენ გონებრივი იერიშის მეთოდს, ახალი თემის ახსნის დროს ააქტიურებენ წინარე ცოდნას ამ და სხვა მეთოდებით, ხოლო საგაკვეთილო დროის შემდეგ ეტაპებზე ხდება ამ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**
3. საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, კომპლექსური დავალების არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მოსწავლისათვის სწავლის სწავლას. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები მთელი თავისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობით, მიზანმიმართულად გეგმავენ საკუთარ სასწავლო საქმიანობას და ორგანიზებულად ახორციელებენ მას. ისინი იყენებენ სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის

მოძიების სხვადასხვა სტრატეგიას, ასევე სასწავლო პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგებს. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები. საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. მეტაკოგნიციაზე აქცენტი მეტად აისახება კურიკულუმში, სასწავლო პროექტებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. შესაბამისად, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე საგნის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას, ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში. ამაზე მიუთითებს კათედრის მიერ შერჩეული კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კურიკულუმები. ეს კი მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის

გამომჟღავნებას. ანალოგიურია სხვა კლასების კომპლექსური დავალებებიც. შესაბამისად, გასახორციელებელ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. მაგალითად: ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები საბაზო საფეხურზე ქმნიან საგაზეტო სტატიებს, ესეს, გზამკვლევებს, ინტერვიუებს, საჯარო გამოსვლის ტექსტებს და ა.შ. სასწავლო პროცესში მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს, უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ

პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც, ასევე, წარმოდგენილია. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. საბაზო საფეხურზე სწავლება წარიმართება კომპლექსური დავალებებით, ხოლო კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა მოსწავლემ გამოავლინოს საკუთარი პირობისეული ცოდნა, რომელიც, ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადაგინდა, რომ ასეთი დავალებების განხორციელება იგეგმება სხვა კლასებსა და საგნებშიც. საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ ინტერგირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება და მომავალშიც გეგმავენ ჩაატარონ სხვა და სხვა საგნებში ინტეგრირებული გაკვეთილები. ესეც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოსწავლეებს ერთმანეთს დაუკავშირონ სხვადასხვა დროს, ცხოვრებისეულ კონტექსტში, თუ სხვა და სხვა საგნის ფარგლებში, მიღებულ ინფორმაციას გაუკეთონ ორგანიზება და დაუკავშირონ ერთმანეთს შეძენილი ცოდნა. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
2. ყველა კლასის მატრიცა და მშბლის ბარათი;
3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს N2-48 ბრძნებით დამტკიცებულია სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის მეთოდოლოგია დანართი 1-ის შესაბამისად;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული საკითხი მიმართულია სამიზნე ცნებების, მისი ქვეცნებების და

შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებისკენ. სამიზნე ცნებების შესაბამისად არის შერჩეული შუალედური მიზანი - კომპლექსური დავალება, საკვანძო შეკითხვები, საკითხები/ქვესაკითხები, ქვეცნება/ქვეცნებები. შეფასების ზოგადი კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან. კერძოდ, ეს მტკიცდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასში ჩადებული განსახორციელებელი კომპლექსური დავალებებით, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზანზე. პედაგოგებთან საუბრისას იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, მიუსადაგებენ სამიზნე ცნებას, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. მაგალითად: სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩარჩო მე-7, მე-8 და მე-9 კლასებისთვის, რომელშიც მეტწილად გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თითოეულ კლასში გაწერილია სამი კომპლექსური დავალება. თუმცა არის ხარვეზები, რომლებიც მასწავლებელთა თქმით, ტექნიკური ხასიათისაა და გასწორდება (სამიზნე ცნების ჩარჩოში ცალ-ცალკე არ არის გამოყოფილი ცნება და ქვეცნება. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან შერჩეულია რამდენიმე კომპლექსური დავალება. წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები. ზოგიერთ თემასთან, უმეტესად, მითითებულია არა მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა, არამედ სხვა სახის რესურსიც. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით დაგეგმილია სასწავლო პროცესი განხორციელდეს კომპლექსური დავალებების დახმარებით, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს თავისი შექმნილი პროდუქტი. მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების პრეზენტირება მოემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებული კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობები და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები მიმართულია პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ. საბაზო საფეხურზე საგნის მასწავლებლები ანხორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, რომლებიც ცოდნის შეძენასთან ერთად, მოსწავლეს ეხმარება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაში და სოციალური უნარების განვითარებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურზე ხორციელდება როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ კომპლექსური დავალების მატრიცებში მოცემულია შეფასების კრიტერიუმები, რომლიდანაც ნათლად ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა. სკოლა, სხვა შეფასების ფორმებთან ერთად, იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, სტანდარტის შედეგების მიღწევის სოლო ტაქსონომიას, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს, რომელთაგან თითოეული წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. სკოლის მე-5 და მე-6 კლასებში, განმავითარებელ შეფასებასთან ერთად, ასევე, გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომლის შეფასების რუბრიკები, ასევე, მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ისგ-ს შეფასების რუბრიკა, ასევე, სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ყოველი მოსწავლის შეფასება თითოეული სასწავლო თემის მიხედვით. პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, ანალოგიური რუბრიკები ცნობილი იქნება მოსწავლეებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასწავლო პროცესში გამოყენებისას კი სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ამის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებასა და მის მიზნობრივად გამოყენებას სასწავლო პროცესში სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. შეფასების ვალიდურობაზე, გამჭვირვალეობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობასა და სამართლიანობაზე პასუხისმგებელია თოთოეული პედაგოგი და ყველა შესაბამისი კათედრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის თვითშეფასების მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ საგნობრივი კათედრები, ხოლო მონიტორინგს უზრუნველყოფს ადმინისტრაცია და ხარისხის მართვის ჯგუფი. სკოლის მიერ წარმოდგენილია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვერიფიკაციას განახორციელებს სამი მიმართულებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები და ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). როგორც დოკუმენტში იკითხება, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები თავის ფუნქციებს განახორციელებენ შემდეგ პრინციპებზე

დაყრდნობით:

ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. მოცემული დოკუმენტითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა გაანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასა და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. სკოლა იყენებს ელქტრონულ ჟურნალს. მოსწავლეთა მიერ კონკრეტული საგნის დაძლევის საფუძველი ასახულია როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. სკოლა მომავალშიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შენახვას არანაკლებ სამი წლის ვადით. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კლასების საგნობრივი კურიკულუმები;
2. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
3. საშინაო და დამოუკიდებელი სამუშოს შეფასების რუბრიკები;
4. განმავითარებელი შეფასება;

5. მოსწავლის პირადი საქმეები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კათედრა გეგმავს შექმნას ისეთი სივრცე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა და მიმღებლობითი გარემო, რაც წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით და დადასტურებულია პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ საათობრივ ბადეს, განსაზღვრავს საგაკვეთილო ცხრილს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, სასწავლო რესურსებს, სწავლა/სწავლების სტრატეგიებს და უზრუნველყოფს მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. ასევე, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისათვის ისგ-ს შექმნის მეთოდოლოგია და მოცემულია სსსმ მოსწავლეების ისგ-ის ნიმუში. წარმოდგენილია სკოლის თვითშეფასების კითხვარების ფორმები, რომლებიც შევსებულია მასწავლებელთა და მშობელთა ფოკუს-ჯგუფებით. ამ კითხვარებში საუბარია სკოლაში შექმნილ ფიზიკურ გარემოსა და ურთიერთთანამშრომლობაზე. სკოლა ქმნის მხარდამჭერ და თანამშრომლობით გარემოს, რაც გამოკვეთილი იყო სკოლაში ვიზიტის დროს. სასკოლო საზოგადოების

ყველა წევრი თანასწორია. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, დემოკრატიული, ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული, პოზიტიური კლიმატი. მოცემულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში, სასწავლო პროცესზე შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. აქ იგულისხმება ასევე, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა და ამ კვლევაზე დაფუძნებით შესაბამისი ცვლილებების შეტანა სასწავლო პროცესში. თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მოსწავლეებთან თანამშრომლობით, უზურნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ამისათვის კი გამოიყენება კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები. ყოველივე ეს დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით, საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა და ხარისხის მართვის ანგარიში, სადაც მოცემულია ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დასწრების ანგარიში. სკოლაში, ასევე შემუშავებულია ხარისხის გჯუფის დებულება, რომელშიც ზუსტადაა გაწერილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისათვის საჭირო აქტივობები და ეტაპები. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა თანამშრომლობითი კულტურის მაგალითები, როგორც მასწავლებლებს შორის, ისე მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით

შექმნილი კომპლექსური დავალებები, თუ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები ამის დასტურია. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მაქსიმალურად ცდილობს შექმნას გარემო, სადაც თანამშრომლობითი კულტურა და გამოცდილი კომუნიკაცია პრიორიტეტულია. საბაზო საფეხურის პედაგოგები საგაკვეთილო საკითხებს არჩევენ მოსწავლეთა მზაობის მიხედვით. მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მასწავლებლები იყენებენ ჯგუფურ მუშაობას, გეგმავენ გაკვეთილებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. მოსწავლეთა ნაშრომების შეფასებისას სკოლის მასწავლებლები იყენებენ შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს და დიდ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რა პრინციპით ახდენენ მოსწავლეთა წახალისებას. კერძოდ, ეს დასტურდება საგნობრივი კურიკულუმებით და მოცემული კომპლექსური დავალებების ბარათებით, ასევე პედაგოგებთან ჩატარებული ინდივიდუალური ინტერვიუებით. სკოლა თანამშრომლური გარემოს შექმნით ცდილობს შექმნას პოზიტიური კლიმატი. ამას ხელს უწყობს მასწავლებელთა შეხვედრები, კათედრების შეხვედრები, გასვლითი გაკვეთილები და სხვ. **ინდიაკტორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმები;
2. გაკვეთილე დაკვირვების ფორმა;
3. ხარისხის მართვის ანგარიში;

4. ხარისხის ჯგუფის დებულება;
5. სასკოლო სასწავლო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშვებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარების პროცესი უნდა მოიცავდეს: ა) დაგეგმვის, ბ) დანერგვის, გ) დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, დ) რევიზიის ეტაპს. თითოეულ ეტაპი ხორციელდება სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიური ჩართულობით. აქვე გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქცია-მოვალეობები კურიკულუმის განვითარების პროცესში. კურიკულუმის განვითარების მეთოლოგიაში მოცემულია კურიკულუმის შემუშავების და განვითარების გზა, განმარტებულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, რაც დაეხმარება სკოლას სწორად და მიზნობრივად განახორციელოს მონიტორნიგნი და შეფასება. აქვე გაწერილია მასწავლებლის, კათედრის თავმჯდომარის, სკოლის დირექციის ფუნქცია-მოვალეობები, რაც დაეხმარება სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებს, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, მათი ფუნქცია-მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობების გაზიარებაში. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ასახულია სასკოლო საზოგადოების მზაობა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გამოვლინდა ასევე, რომ საგნობრივი კათედრის წევრები კურიკულუმის განვითარებას მოიაზრებენ ციკლურ პროცესად და განიხილავენ მას სასწავლო პროცესის თანმდევ ნაწილად. **რჩევა:** ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება, სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად, სკოლამ უფრო დეტალურად და სკოლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებულად გაწეროს ის მექანიზმები, რომლებიც მონიტორინგისა და შეფასების ეტაპის სრულყოფილად წარმართვას შეუწყობს ხელს. ასევე, **ვურჩევდით** სკოლას შეიმუშაოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით/დროის რა შუალედებში) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. შესაძლებელია სასკოლო კურიკულუმის

შემუშავების და განვითარების ერთი დოკუმენტის შექმნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სასკოლო საზოგადოების ფუნქცია-მოვალეობები, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი მონაწილეობს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში ითვალისწინებს რეკომენდაციებს, რომლებიც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს. ასევე, კათედრის თავმჯდომარე ათანხმებს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებითა და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების და სასწავლო პროცესის შესახებ, აგროვებს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალებს და ფასილიტაციას უწევს კათედრის სხდომებს (ქმნის დღის წესრიგს, გამოკვეთს პრობლემური საკითხებს), მონაწილეობს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში და შუამავალია სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექცია მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში, უზრუნველყოფს მიღებული შედეგების დოკუმენტირებას და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაციას, ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული მეთოდოლოგიის ეფექტურად განხორციელება უზრუნველყობს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის წევრები, მონიტორინგის ფარგლებში, ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლებს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. შემდგომ ფოკუსირებულად აკვირდებიან გასაუმჯობესებელ მხარეებს. პედაგოგები ახდენენ თვითრეფლექსიას, ერთმანეთს უზიარებენ ინფორმციას და ხარისხის ჯგუფისგან იღებენ საჭირო რეკომენდაციებს, მხარდაჭერასა და

დახმარებას. მასწავლებელთა ინტერვიუებით დასტურდება, რომ რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ამასთან, საგნობრივი კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი ცდილობენ ისწავლონ წარსულ გამოცდილებაზე , რათა გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მასწავლებელი გაკვეთილების ჩატარების პარალელურად აღწერს და კოლეგებს უზიარებს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. კათედრის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კათედრის სხდომების ჩატარებას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად. ასევე, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას მიაწოდებს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას. ამავე მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექცია ფასილიტაციას უწევს ხარისხის მართვის პროცესს, კერძოდ: ფასილიტაციას უწევს შეთანხმებას დანერგვის ინსტრუმენტების შექმნასა და მათ გამოყენებაზე, ამთლიანებს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებულ მასალებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს სამუშაო შეხვედრების გამართვას კათედრის ხელმძღვანელების მონაწილეობით, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, შემუშავდება რეკომენდაციედაციები სასწავლო პროცესში პრობლემების გადასაჭრელად; ინოვაციების დასანერგად. პრობლემის დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით, სკოლა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მონიტორინგს. ტარდება გაკვეთილები, რომელსაც ესწრებიან ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის წევრები. ხარისხის მართვის ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს და შემდგომ ფოკუსირებულად აკვირდება გასაუმჯობესებელ მხარეებს. უმეტეს შემთხვევაში განხორციელებული აქტივობების შედეგად ხდება პრობლემის აღმოფხვრა. გარდა ამისა,

საგნობრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა და მზაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი აპირებენ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენონ პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/ საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

1. სიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიში;
2. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები დისკუსიის, ექსპერიმენტის ჩატარების, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის და ზეპირმეტყველების დროს. სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოადგინილია შემაჯამებელი წერის ნიმუშები შესაბამისი შეფასების რუბრიკით. მაშასადამე, სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები, სადაც მოცემულია რომ ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურებრივი საგნობრივი სტანდარტები განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს და რა უნდა იცოდეს მოსწავლემ). მათზე დაყრდნობით შედგენილია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამები/სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია სავალდებულო სასწავლო თემების საშუალებით. სასწავლო თემა წამოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის ნაწილების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეცვლილია კონტექსტები, მაგრამ არ შეცვლილა სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის

შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, თავისი თემატური ერთეულებით საშლებას იძლევა, შეფასება განხორციელდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ამავე მეთოლოგიაში მოცემულია, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს მოსწავლის შემეცნებით-შემოქმედებით პროდუქტს, რომლის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურული ერთეულები (საკითხი, ქვეცნება, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი), ცალკეული თემის ფარგლებში, შუალედური მიზნის როლს ასრულებს. ასევე, შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სტანდარტის შედეგებიდან და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლის მასწავლებლების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმი/წლიური პროგრამები 2023-2024 სასწავლო წლისთვის. **რჩევა:** მნიშვნელოვანი და სასურველი იქნება სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოარგოს ისინი საგნობრივი კურიკულუმების და სტანდარტის მოთოვნებს, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას. ყოველივე ზემოაღნიშულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, თვითშეფასება, გამოკითხვა, ინტერვიუ და სხვა. სკოლაში სწავლება ხორციელდება კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით, ხოლო ასეთი დავალებების შეფასების რუბრიკები მოითხოვს მოსწავლის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამ დროს ხდება მოსწავლის პრეზენტირების, კრეატიულობის, შემოქმედობითობის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლას გაწერილი აქვს შუალედური მიზნები, რომლის მიხედვითაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული - საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. აქვე განმარტებულია, რომ თემატურ მატრიცაში შესაძლებელია გამოყოფილი იყოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც მასწავლებელი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში. საკითხების საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა მასალის საფუძველზე წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში. ქვეცნებებსა და საკითხებზე დაყრდნობით განისაზღვრება, ასევე, კომპლექსური დავალების პირობა. წლიური თემების ფარგლებში, გამოიყოფილია საგნობრივი ქვეცნებები, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობს შესაბამისი სამიზნე ცნებებიდან; ისინი წარმოადგენენ ტერმინებს, რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს. თემატური საკვანძო შეკითხვები ორიენტირებულია უშუალოდ შესაბამის სამიზნე ცნებაზე/ცნებებზე (მაგ., ცნებაზე „კონტექსტი“) და განსაზღვრულია შერჩეული ქვეცნებების/საკითხების გათვალისწინებით. ისინი გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა: მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად, სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა და თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ნაბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. ასევე, განმარტებულია, რომ საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს. როცა მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე იმუშავებს და შექმნის პროდუქტს ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად, ხდება როგორც ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება, ასევე, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება, როგორც ცოდნის სამივე კატეგორიის უნარის შეფასება, ასევე, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება, ასევე ცოდნის ერთობიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება და მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის და მის მიერ საკუთარი წინსვლის

ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასებაც. მასწავლებლებს, ასევე, გაცნობიერებული აქვთ, რომ შეფასების მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სკოლა გამოხატავს მზაობას შეფასება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშვებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. შესაბამისად, სკოლა გამოხატავს მზაობას, შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარების ციკლური პროცესი (კურიკულუმი შემუშავება, დანერგვა, დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის გადამუშავება გულისხმობს მის განახლებას წინარე გამოცდილების, მონიტორინგის და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ კურიკულუმის დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე). ამის შემდეგ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება და შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ასევე, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში, პედაგოგიური საბჭოს სხდომების წლიური მუშაობის გაანალიზებით მიღებული დასკვნები, სკოლის მიერ წარმოდენილ SWOT ანალიზის შედეგები იძლევა საფუძველს რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, რისთვისაც სკოლა გამოხატავს მზაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:  ლიკა ხვედელიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერა მღებრიშვილი ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ეკატერინე მიქაუტაძე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

მეგი ტალახაძე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ხათუნა წიკლაური უცხოური ენის საგნობრივი ექსპერტი

ინგა ხრიკაძე ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ავთანდილ ცნობილაძე ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ოძელაშვილი სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ევგენი გუგულაშვილი მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ედუარდ ნაკაიძე სპორტის საგნობრივი ექსპერტი

09.10.2023წ.
თარიღი